

595 / 2
1909



ქართული
საქმიანობა



საქმიანობა ნახატებიანი
ქართული

№ XII

დეკემბერი

1909



შ ი ნ ა ა რ ს ი

უწინადად „ჯეჯილისა“

I მეც უნდა ვისწავლო! სურათი	3
II შობა ლექსი გ. ქუჩიშვილისა	4
III „კამარინსკი!“ ეკ. გაბაშვილისა	5
IV მოლოდინი ლექსი შ. მღვიმელისა	12
V დედის მკერდზე მარამ გარეუფისა	14
VI წრეწუნების ახალ წელიწადი ტასოსი	19
VII უდანაშაულოთ დასჯილი ნ. ზამქეთელისა	22
VIII სურათი ამბის დასაწერათ	24
IX შობის წინ კომედია ლადო გეგეჭკორისა	25
<hr/>	
X ზამთარი ლექსი დ. თურდღასნიძელისა	33
XI გულმა იგრძნო. საშობაო მოთხრობა ანასტ. წერეთლისა	34
XII ეკატერინე გაბაშვილის. 40 წლის სამწერლო მოღვაწეობის გამო ს. გ—ქესი	41
XIII პატარა სელიმის ყვავი (დასასრული) თარგმანი ან. წერეთლისა	46
XIV ვერცხლა თევზი—ბულგაკოვისა (თარგმანი) მარამ იაშვილისა	53
XV პოეტი შილლერის სიყმაწვილედ (დასასრული) ან. წერეთლისა.	63
XVI სარჩევი მთელი წლისა	69

მიიღება ხელის მოწერა

1910 წლის

ჯეჯილზე



ქართული
ბიბლიოთეკა



საემსწავლო ნახატებიანი
ქართული

იზარდუ მწვანე ჯაჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. დ.

დეკემბერი, 1909

✱ ქართული ბიბლიოთეკა ✱

თ ფ ი ლ ი ს ი
ელექტრომბეჭდავი აბს. „ზრომა“, რუსსკაია ქუჩა, № 3.
1 9 0 9



ქართული
ბიბლიოთეკა



მეც უნდა ვისწავლო!

შობა.

ცას ბინდ-ბუნდი ვადაჰშორდა
განთიადმა დასძრა ნავი;
ბრწეინვალებით გვითენდება,
ქრისტეს შობის, დღე უკვდავი!

X

რა წამია!.. ვიმ, რა წამი...
მასწარობლათ ჭრეკავს ზარი;
სანთლებით და კელანტრებით,
ღვივის .. ღელავს ღვთის ტაძარი!

ტვირთ-ძძიძეთ და მამურაღთ მხარეს,
მოეფლინა მაცხოვარი;
ქვრივ-ობლების მონუგეშე,
დაურდომილთა მეგობარი!

///

ქვეყნათ სწელება გლოყის ზარი,
შორს ვაისძის ხმა ნეტარი;
მას ბანს აძღვეს მძლე გუგუნით,
ზღვა, სმელეთი, მთა და ბარი!

გ. ქუჩიშვილი.



29079



კამარინსკი!



სე ეძახდნენ ჰატარა მიშკას, ჩირ-
კში მოთამაშე შვიდი-რვა წლის
იიჭს.

გასაკვირველი უმაწვილი იყო
ეს „მიშკა—კამარინსკი“. მთე-
ლი საძი თვის განძავლობაში,
რაც ხანი ის ჩვენ შესობლად იდ-
გა, ერთხელ გაცინებული ბრავის
გვინახავს, გაცინებული კი არა

იმისგნით ერთი სმაც — კონტრაც არსად გაგვიგონია.
ის იღვიძებდა შუა დღისას, გამოვიდოდა ეზოში და
რამდენიმე ხანი ძხესედ იჯდა დაღონებული, ტანჯუ-
ლის სახით, დამხნილი ბებერივით ხელებსედ თაგ-
დაურდობილი. სამ საათსედ იმისი ჰატრონები, ალ-
ბერტ და მარინა შულცები, რეპეტიციების შემდეგ ცირ-
კიდან მოვიდოდნენ ხოლმე და თან მოიტანდნენ რამე
საჭმელს, მაშინ მიშკაც თითქო საჭმლის სუნსედ, გა-
მოფხისლდებოდა, ადგებოდა და შეჭყეუებოდა იმათ
ოთახში.

შულცები მიშკას თავის შვილათ აცხადებდნენ, სხვე-
 ბი კი ამბობდნენ შვილი კი არა, საცალა ნაპოვნი
 ობოლ-ოხერი ბავშვიყო. და ეს უკანასკნელი აზრი უფ-
 რო ძართალი უნდა ყოფილიყო. ერთხელ არავის გვი-
 ნახავს, რომ დედას ეკოცნოს, ეალერსნოს ბავშვის-
 თვის, ძამას თავზედ ხელი გადაესვას, ან ტკბილად და-
 ლაზარაკებოდეს. ზირიქით ორივენი მიშკას როგორ-
 დაც მკვლებივით უყურებდნენ და ავეჯდრიდნენ ვეელა-
 ფერს, რასაც კი ამღვედნენ: სასმელ-საჭმელს, ჩასა-
 ცმად-დანახურს და იმ ჭუჭუიან ქვეშაბებსაც კი, რო-
 ძელიც მიშკასთვის კუნჭულში ჰატარა ძაღლივით მი-
 კებულნი იყო—თივის ტომარა და საბნის მაგიერად
 ცირკში ჩასაცმელი ჭრელ-ჭრული ტანთსაცმელი. თუ-
 მცა შულცები ცივად ექცეოდნენ ჰატარას, მაგრამ ჩა-
 ცმით კი უოველთვის კარგად აცმევდნენ, თითქო იმის
 ძორთულობით ამავობდნენ კიდევ. დღესასწაულებზედ
 ძორთავდნენ, მოჭკაწმამდნენ, თმას დაუხუჭუჭებდნენ
 და სასეირნოთ წაიყვანდნენ ბულვარზედ. იქ კი ვე-
 ლა იცნობდა მიშკას, დიდიც და ჰატარაც, მეტადრე
 ჰატარეები სიხარულით ეგებებოდნენ ჰატარა „კამა-
 რინსკის“ და აქეთ-იქიდან შაქრის ჰურებს და კამ-
 ფეტებს აწოდებდნენ.

მიშკა კი ბულვარზედაც ჩვეულებრივ დაღონებუ-
 ლი და დაძმარებული დადიოდა, თითქო დაღალულ
 ფეხებს ძლივს დაათრევდა. და თავის გულისთვის სა-
 სიამოვნოს და სასიხარულოს კერას განიცდიდა.

საღამოობით კი ცირკში ვიღა იცნობდა ხვენ მო-
 სრუშულ მესობელს. ის ზიზილა-პიპილეებით შეძკულ
 ტანისამოსში, კანჭებზედ და კლავებზედ ტრიკო წა-
 მოცმული, ჰირზედ დიმილ შეუწვევტელი, უკრავდა
 თავს, ხელით საღამოს უგზავნიდა თავის ტანის და-
 კვრელებს და რაღაც სხვა და სხვა ფოკუსებს აკეთებ-
 და თავის პატარა, იუნის სახრესავით მოქნილი, სხე-
 ულით. ხან გოგორასავით გორავდა, ხან ხელებზედ
 დგებოდა და ფეხებს მადლა აიშვერდა, ხან თავს ლა-
 ჯებში გაყოფდა და უკან გადახევილი ხელებით ჰირ-
 ში კამფე ჰს ჩაიდებდა და სხ.

ყოველი იმის მიტრიალ-მოტრიალება ისეთის
 გრაცით იყო სავსე, რო სალსი აღტაცებით ტანს
 უკრავდა, მაგრამ ცირკში მოსიარულეთ ვველანზედ მე-
 ტად უეგარდით მიშკას თამაშობა „კამარინსკისა“

თუნდ მიშკას თამაში არ ყოფილიყო იმ დღეს აფი-
 შანე აღნიშნული, სალსი მაინც გამორიწვევდა ხოლმე
 პატარას და იმდენ ხანს ღრიალებდნენ, აბრასუნებდნენ
 სკამებს, რო მძინარი ბავშვი უნდა გაეღვიძებინათ, და
 გამოეყვანათ სათამაშოთ. მიშკა ნაციონალურის ტანი-
 სამოსით მორთული ნამდვილ რუსის „მუჟიკს“ გავდა.
 წითელი ფარჩის ჰერანგი, შავი ჰლისის უსასლებო
 კურტკა, ჰლისისავე განიერი შარვალი, მადალ ეელიან
 ჩექმებში ჩაკეცილი; გრძელ დასუჭუჭერულ თმებზედ კუ-
 ჩრული ქუდი, ფარშევანგის ბუძბუძებით მორთული,
 წელზედ ჭრელი განიერი შარვი, რომლის ბოლოებიც

თამაშობის დროს ფრინველებივით დაჭურიალებდნენ. ამ გვარად გაწეობილი ჰატარა „მუჟიკი“ დღიწეობდა რუსთა საეკარელ „კამარინსკის“ ცეკვას და მთელი ბრბო ტაძს აეოლებდა. ჰირველში მუსიკა დაიწეებდა ნელა-ნელა ბგერას, მერე თანდათან მოუჩქარებდა და ბოლოს ისეთის გატაცებით აჭევებოდა, რომ მიშკა ძლივს ასწრობდა სტუნაობას. მერე ოყულში გაცურებული ჰატარა საეკარლად დაუკრავდა თავს სასოგადოებას, ხელთ კოცნას გაუტყავნიდა და დაღალული კანკალ-ცახცახით გაჰიდოდა.

*
*
*

ახალწლის რამდენიმე დღის წინაღვირვის ვეებერთელა აფიშებზედ წითელის დიდრონის ასოებით იყო გამოცხადებული: „ბენეფისი ჰატარა მიშა კამარინსკისა“—ო, რომელიც ამ დღეს საუცხოოდ შეასრულებს რუსულ ნაციონალურ ტანთ საცემელში, რუსულ ნაციონალურ სათამაშოს „კამარინსკისა“.

თუძცა ეკვლა ცირკში მოსიარულეთ არა ერთხელ ენახათ მიშკას „კამარინსკი“, მაგრამ მანც აუარებელი ხალხი შეიკრიფა ჰატარას საბენეფისოთ. ცირკი თავით ბოლომდე გაჭედილი იყო, ორ შესამედს, რასაკვირელია, ბავშვები შეადგენდნენ. საშინელი სრიამული იდგა. ეკვლახნი ცუკავდნენ, ღელავანენ ჩვეულებრივზედ მომატებულად, რადგან ამათი ტოლი—ბაღდის დღესასწაული იყო.

ცხენების ჭენებაჲ, კლოუნების პრანჭვა-გრესებაჲ,



მათმა სულელურმა ღრეჭა-ოხუნჯობამ, დაგეძილი ღორის და ძაღლების სტუნვამ რგოლებში, ჟონგლიორების ხელოვნურმა თამაშმა, როგორღაც შეუმჩნევლად ჩაიარა ეველასთვის. ეველა ძებენეფისეს მოკლოდა და მოუთქენლად.

ამ სადღესასწაულო წარმოდგენის მიხეხი ბავშვიკი დღეს ძრეელ ავად იყო გული ერეოდა, თავბრუესხმოდა, კარგა დიდი სიცხეც ჰქონდა.

— მიშკა დღეს ვერ ითამაშებს, ვაძობდით მე-ხობლები. — ავად არის, სახუქრები კი რამდენი მოკლის! დიდი და ჰატარა თავის საუვარელ „კამარინსკის“ ფეშქაძად რამეს უმხადებს

საღამო ქაძი იყო, ცირკელების ოთანხიდან რაღაც უილაჯო ტირილი, თუ უფრო რომ კვნესა მოისმა. ჩვენ ეველა სმენათ გადავიქეცით. ძრეელ გვინდოდა შეგვეტყო, თუ როგორ გადასწევეტდნენ მიშკას ბედს იმისი ჰატრონები. ფანჯრის ფარდის კუთხე ოდნავ იყო აწეული. მე ფეხის აკრეფით მიველ და შევინედე. მიშკას მამა გარმონს უკრავდა, დედა კი შოლტით ხელში შუა ოთანხი იდგა, მიშა თავხედ ხელ მიდებული, გაფითრებული კედელხედ მიუუდებუი იყო და არ ინძრეოდა.

— ნუ, ნუ! შეჭევირა დედამ, ჩქარა.

მიშკა ისევ უნძრეულად იდგა.

— ჩქარა! უფრო სასტიკად დაუევირა ბავშვს ქალმა, ჩქარა!

ბავშვი კვლავ უნძრეკლად იდგა. მოისმა საშინელი წვე-
 ზუნი შოლტისა. მიშკა მალლა შესტა და ისევე გაშეძდა.

ახლა კი გააღმასებული დედა მივარდა ბაღს და
 შოლტმა იმის კანჭებსედ რამდენჯერმე გაიძლატუნა.

მიშკა დატრიალდა, ხელები გაძალა და მეტის ტი-
 რილისაგან დასიებული ცხვირპირი გამოუჩნდა.

— უმგზავსო, უმაღურო! შეჭევირბ ახლა ძამამ.
 რას დაიგვანე პირისახე. ვინ რას იტყვის ძაგ დასიებუ-
 ლი თვალებით რო წასდგე საზოგადოების წინ?! შენ
 გინდა შეგვარცხვინო, გინდა ეკულებს საუვედური გვი-
 თხრას, რომ გაწვალებო. რომ შენ ავი ძალი ხარ და
 არაფერს გვიგონებ, ვინ იცის!

— თავი ძტკივა, გული მიკანკალებს... კვლავ კე-
 დელს მიეუდა ბავშვი და ხელები შუბლსედ მიიფარა.

— მოგირჩება! უგულოთ მიუგო დედამ და შოლ-
 ტმა კვლავ გაიძრიალა ჭაერში. მიშკა დატრიალდა, ჩა-
 ბუქნა, ხელები ჩვეულებრივ ლამაზად შეატრიალა. შერე
 გრანციოხათ აქეთ-იქით თავი დაუკრა, ხელით კოცნა
 გაუგზავნა, ვითომ ძაფურებელ საზოგადოებას და ქანც
 გაწევეტილი ჩამოჯდა.

* * *

იმ დროს, როდესაც ცირკი სავსე იყო და ხალხი
 ზღვასავით დელავდა, მიშკა ერთ-ერთ ცირკის ოთახში
 შალში განკეული მოკუნტული იწვა და ეძინა. სანდის-
 ხან გამოედვიძებოდა, საშინელ თავისტკივილს გრძნობ-
 და და რაღაც გამოურკვეველს სურათებს ჰედავდა. თი-



თქო მის გარკვეულ სუუველაჟერი ტრიბლებდა და სა.
 ჩქაროდ ისევ თვალებს სუჭავდა.

— უკან სკნელი ანტრაქტია... ასლა შენი გასვლის
 დროა, ჩასძახა დედამ მიძკას—ადექ, ჩქარა ჩაიცვი.

ერთი კიდევ მიტრიალ-მოტრიალდი, ფეხები ავარ-
 ჯისე... მიძკა ხმას არ იღებდა. ის ჯერ ვერ გამორკვე-
 ულიყო ძილიდგან.

— არ გესმის? არ გესმის? შეაჯანჯლარ დედამ.

— არ შემიძლიან ავდგე... თავი მტკივა... ამოი-
 კვნესა ჰატარამ.

— სუ, სუ! არაჟინ გაიგონოს... ადე, მეთქი. სცე-
 ნაზედ მარტო ორიოდ წაძით გახვალ, ბისე ალარ გა-
 გიუვანთ. ბოდის მოვიხდით, ვეტევით, რომ ავათა ხარ,
 ესლა კი გაუსვლელობა არ იქნება. ბენეუისია. გაწურე-
 ბიან, იქაურობას დაანგრევენ...

— არ შემიძლიან... თავი ვერ ამიღია...

— არ შეიძლება, უნდა ადგე და ამ სიტუაციით დე-
 დაკაცი აფთარივით დაეცა ბავშვს და ძაღლს აიტაცა.—
 ნებივრობ?! თუნდ რო მოკვდე, მაინც „კამარინსკი“
 უნდა ითამაშო! გესმის? ჩქარა, ჩქარა!

„კამარინსკი“, „კამარინსკი“! მოისმა ცირკიდან
 ბავშვების ნახი ხმა და მას მოჰყვა უშველებელი ბრბოს
 ღრიალი: „კამარინსკი“, „კამარინსკი“!

მუსიკამაც დაიწყო კამარინსკის დაკვრა და მიძკაც
 დაგუძილი ცხენივით მუსიკის ხმასე აცუნტრუგდა. მი-
 ტრიალ-მოტრიალდა ოთახში, სველებით სალმის მიცე-



მის ნიძუში აჩვენა დედას და კანკალ-ცანცანით გავიდა არენაზედ.

„კამარინსკის“ გაუძარჯოს! კამარინსკის! ღრიალებდა ცირკი. ჰატარა ემაწვილებმა ევაწილები გადუყარეს მიშკას. იმან მადლობა გადუხადა და თამაში დაიწყო. ჯერ წუნარად დაუარა, მერე ხელები გაშალა, რამდენჯერმე ლამაზად შეათამაშა ასალ მძვენიერ ტანისამოსში გამოწვობილი ხელ-ფეხი, მერე მუსიკის შეწვობით ფეხი აუხქარა, ჩაბუქნა, დაუძტვინა... მაცრამ უცებ ეველაფერი დატრიალდა იმის თვალში. ეურებში საშინელი ხმაურობა გაისმა, თვალები დეებრიცა და შუა არენაზედ გაიძვლაროა. ჰირიდგან ლუჯი ამოსდიოდა და ხელფეხს დაკლული ქათამივით იქნევდა.

— უშველეთ! უშველეთ! ჰკოდგენ შეძინებული ბავშვები და ეველაფერი აირია. ვინ ვის განსწრობდა ცირკივამ, აღარ ესმოდათ. ეველა სცდილობდა, თვალი ძალე მოემორებინა საშინელი სურათისთვის და ბავშვისთვის მომხადებული სახუქრები შეუნიშნავად უკანვე მიჰქონდა.

* *

ცირკელები კარგად უვლიდნენ ავანტეოფს მიშკას. ექიმიც მოიწვიეს. ის ძალე მორჩა და ორი კვირის შემდეგ კვლავ „კამარინსკის“ თამაშობდა და გულმავიწი ხალხიც ჩუულებრივ ტაშს უგრავდა.

ეკ. გაბაშვილისა.





მოლოდინი.



იღი არ მოსდის ანასა,
ზის მარტო ვარეუძივითა,
ხანდისხან კერას აბოლებს
ასანათებლად თივითა.

ქმარს ელის შორეულით წარსულსა,
იღევა მოლოდინითა;
შუაღამეა, არსად სჩანს,
ეს კი ელოდა დილითა.

რა იქნა? რა დაემართა,
რა მოუვიდა ნეტაო?
სამუშაოხედ წასული
სომ არას წაეკვეტაო.

ნაღვლობს და შავი ფიქრები
არ ასვენებენ ანასა;
ამბობს: ფუ, წამხდარს სიცოცხლეს,
ვაჭ ეოფნას ამისთანასა!

ამ დროს ჩამოჭკრეს კიდევაც
ხარი ცისკრისა, დილისა
და ეურთ მოესმა: „დედაო“
ფურხული ორი შვილისა.



ძოლოდინი

მაშინ კი გონსა მოეგო,
ეცა ბავშვების ბინასა,
თვალცრემლიანმა დაჭკოცნა
ჯერ ნინას, მერე თინასა.

და გამოუარდა გარეთა,
მიკიწ-მოკიწა ჩინჩხვარი,
ასაბოლებლად ცეცხლისა,
შემოიტანა თან კვარი.

მაგრამ შობა დღეს შვილებსა
რით უნდა მიგებებოდა,
ამას ფიქრობდა საწყალი
და გული ეთუთქებოდა.

ჩახედა ახლილ კიდობანს,
ორი ჭადჭურბ დებოდა,
პირ ასახსნელად ქოჩორა
ვარიაც ეგულებოდა.

შვილებს ეჭამათ თუ დედას,
კუჭი ვის გაუძებოდა?
თავის'სე არას ფიქრობდა,
შვილები ეცოდებოდა...

შობა დღე არის უასიდად
პირი უცინის ანასა,
გულში კი ამბობს სიმწარით:
ვაჭ უოფნას ამისთანასა!



დედის მკერდზე

(საშობაო აშხავი)



აი, ვაი დედავ! მოკკვდი, მოკიკვ-
დი მე საცოდავი, მოკიკვდი, დედავ! მო-
იკვნესოდან ჰატარებ ბაჭინ და თოვლით
დატვირთულ ბუჩქებს ეკრძნობოდან და
წინა თათ მოგრესილი სამ ფეხზედ მო-
ცუნცუნებდა, შემინებულა აქეთ იქით
იკურებოდან, ყოველი ხის წვერის შენ-
ძრევაზე, კანკალებდა, ყურებს აცქვეტდა,

სულს განაბავდა და სიფრთხილით მიძვრებოდან. აი
კიდევ მიუხსლოვდა ბინას, ერთი თათი კიდევ გადას-
დგა და იქვე გაშეშდა: თვალები განივრათ დადლო,
კანკალებს აიტანა, სრულიად გაფითრდა.

— ჭამე, ჭამე, ჭამე, — მოისმა ტყვიან ძაღლის
ხმა, კაციც გამოხნდა, მხარზედ დიდი, ორ-ლეულიანი,
სანადირო თოფი ჭქობდა გადაგდებული, წელზე, ცალ
გვერდზედ ჩანთა ეკიდა, დასოცილი ფრინველებით
სავსე, წელზედვე შემოესხია ორი დიდი დედალი
კურდღელი. ბაჭინამ დაინახა კურდღლები, იცნო სა-
ცოდავი თავის ნათესავები, და ცოტა გაწედა ქვითი-
ნი არ წასკდა, მაგრამ საჩქაროთ მოაგონდა თავისი
სამიძარი მდგომარეობა, ჰირჯვარი, გამოისახა.

— ღმერთო! შენ მისხენ! — დაიხურჩულა. მიიბ-



რუნა ჰირი და დააკვირდა თავის ნახვალ კ'სას: „კვალნი
სომ არ დამძიხნევიაო“. ძავრამ არა ხსნდა რა, თოვლი
გაუინული ეყო და კვალნი არ ეტყობოდა. მონადირე
უახლოვდება... ბაჭიამ სული განაბა და ბუჩქ ქვეშ
გაინარტხა.

— შვილო! ჩემო დამღუპველო, სხდ გაჩერებულ
ხარ! ვერ ხედავ მტარვალს?— მოესმა ამ დროს დე-
დის ჩურჩული.

* * *

საცოდავ დედას გული გადაღვევიყო შვილის მო-
ლოდინში. ძერე, ილაჯ გაწვევტილი, გამოხულიყო
სოროს კარზედ, მოწვენით ამთქნარებდა. უღვაძებს
აცმაცუნებდა და შვილის კ'სას გასცქეროდა. მონადი-
რის სმა რომ გაიგონა, თავი სრულებით დაავიწე-
და, და დედობრივის გრძობით გამწარებულმა, გაე-
ბურა შვილის საძებნელად, და შედ წააწედა.

— დედა! დედა! — შესძახა გამწარებულმა ბაჭიამ.

— მიშველე. შიშმა გაძაქვავა ძავრამ, ძალაც აღარ
შემწიკს, ფეხი ძაქვს მოტყენილი.

— ვაი შენს დედას, რა მითხარი ეს? — შემოიგრა
დედამ სახეში თათი, დაავლო შვილს ხელი, შემოიგ-
რა თემოზე და რამოდენიმე გადახტომით სოროსთან
გახნდა. დაბინდა კიდევ, ძავრამ ტყე და მინდორი
ძანც ნათლათ გამოიუფრებოდა. სვეტაკი თოვლი თეთრ
ზეწარში ხვევდა არე-მარეს და შუქს ჭყუნდა იქაურო-
ბას. დედამ შეიტანა სოროში ფეს-მოტყენილი ბაჭია, და-



აწვინა რბილათ თივახედ და თავად ისევ გამოვიდა კარ-
 ხედ მტრის სათვალთვალათ. მონადირის წითელი ძაღ-
 ლი ერთს ალაგას შესდგა, კისერი დაიგრძელა, ცხვირი
 ძაღლა ასწია, ჰაერი დასუნა, ყესი წინ გადასდგა და
 უნდოდა გამოსდგომოდა საწვალ კურდღელს, მაშინ
 ბაჭიას იმედი გამტეუნებული იქნებოდა. „კვალი არ
 დამიმჩნევიაო“. ძაღლი ხომ სუნს იღებს და ისე მი-
 დის იერიშზე. ჰირდაჰირ მიადგებ იდა კურდღელთა ბი-
 ნახედ, მაგრამ მონადირემ შეახერხა:

— წარბა! — დაუძახა მრისხანეთ. ძაღლი შესდგა.

— ესლა გვეყოფა. დაღამდა, შენ თუ აგვევ ტყე-
 ში გამათენებინებ. დღეს ეს კმარა და დანარჩენი სვა-
 ლისთვის იყოს. — უთხრა ხმა ძაღლა, ზურგზე ხელი
 გადუსო, კისერზე ჯაჭვის საეელო გადუგდო. ჯაჭვის
 ბოლო წელზე გამოიბა და სტვენით გაუდგა გზას.

— ხვალინდელი დღე არ გაგიტენოს ახალ-წლის
 ძაღლმა, თორემ სომ აიკლებ აქაურობას. — მიამძახა
 გულ-დამძვიდებულმა კურდღელმა და შვილს შეუბრუნ-
 და სოროში. ნაღრძობი ყესი დაუხილა, შეუსვია და
 ჩამოუჯდა წინ.

— როგორ მოგიხდა შვილო, სად მოგატანეს იმ
 წვეულებმა?

— თავადიანთ ბოსტანში ჩავუკერი, დედი! იქ ბოს-
 ტნის ერთი თავი ძაღლობია, თოვლი ჩამომდნარყო
 და მომხიბლავათ წამოეყოთ თავი ცოცხალ ბალახებს;
 გადავიხედე, არ მომითმინა გულმა და გადავსტი. გა-



ვინედე, რა დავინახე, ვეებერთელა ვაჟკაცი, იმათი მო-
ჯამაგირე, წაკუსულიყო ბოსტანში, თოკლს ქექდა და
ქინძს ეძებდა.

— ალბათ ინდაურის საცივისათვის ¹⁾ ენდომებო-
დათ. ვაბი, თუ, შენც შიკ ჩაგასააციებდენ, რაღა ეშვე-
ლებოდნ თვალ დამდგარ დედა შენს!—უთხრა დედამ და
ჩაიკრა გულში ავით მყოფი ბაჭია.

— შერე?

— შერე, დავინახე, მანაც დამინახა, ავიღე და
შევსტი ღობესგდ გადასასტომათ. ამ დროს ჭოლოკი ²⁾
მომატანა და გამარტუა ფეხში.

მაშინ არ მიგრძნია ტკივილი. შიშმა ისე გამაურუა.
შერე, რაკი, თვალთავან მივეფარე იმ შეჩვენებულს,
კინაღამ გული შემიდონდა, სულ კენესით მოვბობ-
ლავდი.

— ცელქი ხარ, შეილო! ცელქი, შენ კენაცვალე.
—უთხრა დედამ. თივის ზატარა კონა აიღო, დაუეარა
წინ თავადაც გვერდით მოუჯდა და მოემხადენ სა-
ვანძმით.

— ტრან, ტრან, ტრან, ჯახ, ჯახ, ჯახ... მოი-
სმა თოფის სმა. ერთი მეორეს მიჭყვავა, მეორე შესა-
შეს, და გაიძართა სროლის კონცერტი.

— ქარ ცეცხლი,!—შიაძახა დედა კურდღელმა.
საწყვალ ბაჭიას ჰირიდან ლუკმა დაუვარდა, სასო წარ-

¹⁾ საცივს—ძმრით გაკეთებულ ინდაურს ვეტყვიოთ. ²⁾ ჯონის ნატეხი.



კვეთით მიახედება კარებს და ძლივს გასაგონათ ჩაი-
 ლუღლულა:

— დავიდუპენით, დედავ, მოდიან, მტერნი მოდიან.

— არა შვილო! ნუ გეშინიან! შენ ჰატარა ხარ,
 ჯერ და არ შესწრებინარ, ასე იციან დღეის დღეს
 ადამიანებმა. სვალ ასალი წელიწადია და სვალინდელი
 დღეს თოფების სროლით ეგებებიან. სოფლიდან მოდის
 ეს ხმა. აქამდინ ვერ მოგვწადებიან და დედამ ფთხა-
 ლი ბაჭია გულში ჩაიკრა და დაამშვიდა.

მარიამ გარიყული.





წრუწუნების ახალწელიწადი.



აღა ხართ, შვილებო, მოგროვდით, გაიძახოდან დედა-თავგი.

ერთ წამს გარს შემოესვივნენ მან მატარა წრუწუნები.

— ნაცარქათიბა სადღაა, ის და-
უცხროძელი, განაგრძო დედა თავგა-
მა, — საფანგში, სომ არ მოჭევა, მის
ჩსაკანს რომ გავიგებ გულის ძეგრება.

ამ დროს ქაქანიო მოვარდა დე-
დის საეუბრელი ნაცარქათიბა წრუწუნა და მოჭევა:


— რა ვნახე, რა ვნახე! ძაღლა, სულ ძაღლა
ხის ერთი ბებერი, ფეს-მოკეცილი, ისეთი ბებერი,
ისეთი, არც ერთი კბილი ადარ აქვს. შირის სახე
ჩამოსტირის. წინ უდგია დიდი ქვაბი, ხის კოვჩით
ურევს; ერთი წითელ ზერანგა ბიჭი, ხან რას აწვდენს
და ხან რასა. ბებერი გაიძახის: ეს თამროს, ეს ნი-
კუმას, ეს სახდროს... ომხივარი ამოდის ისეთი, რომ
ძე სულ წინ წავდექი და ვერზუნ დაძინახა. ხუნი
სომ რაღა ვთქვა, ისეთი მშვენიერი, ისეთი მშვენიე-
რი, რომ კინაღამ ბებერს კალთაში ჩავუხტი.



— შენ შვილო, მოკლე დღე გაქვს, შენი მსუნ-
გობის მსხვერპლი გახდები. ის ბებერი უსათუოდ
გოზინაუს ხარშავდა ხვალისათვის-ხვალ სომ ახალ-
წელიწადია. ძერე რო იცოდეთ შვილებო, რა ტკბილია.
რა გემრიელია ის თაფლი, მაგრამ სიფრთხილე გვაჭი-
რება. ამდამ, იქ მალლა, გაშლიან სუფრას და დააწ-
ვობენ გოზინაუებს და აბა მაშინ დავესიოთ. ახლა კი,
სანამ ფეხის ხმა არ მისწვდება—ფრთხილათ ვიყოთ.
ფხაკა-ფხუკს და წრუწუნს თავი დაკანებოთ.

*
**

შუაღამე გადასულა, ეკვლეგან სჩხუმა. დედა
თავი მიიპარება მალლა, თან მისდევს შვილები.
ნაცარ-ქათობა წინ მიუძღვის მხიარულათ—გზას უჩვე-
ნებს. ამოვიდენ მალლა. ოთახში ოდნავ ბეუტავს ხა-



ტის წინ სანთელი. მაგიდაზე სპეტაკი თეთრი სუფ-
რას გადაშლილი. რა გინდა სულო და გულო რომ
იქ არ იყო: აუარება ტკბილეულობა იქ ალაგია:
ყინვარი შაქარი, წითელი ვაშლები, თეფშებით გოზინ-

ნაუი ჯერ ისევ თბილია. სინარულით არა თუ წრუწუნებს დედასაც კი კონება დაქნა. სელი გაჭკრეს ვეელაფერს, უფრო თაფლს ეტანებიან. უნებურათ ატედა ფხაკა-ფხუკი, სძაურობა... უცბათ კარი გაიღო და ბებერი სანთლით ხელში გამოჩნდა.


— აი, ვინ თარეშობს აქა, დაივირა თითონვე შეშინებულმა მოხუცმა, — დაკიბნელებთ დღეს, დამაცადეთ, სად არი ჩემი დიდი ჯოხი.


მაგრამ სანამ ბებერი დასდგამდა სანთელს და მონახავდა ჯოხს, წრუწუნები ტუპა-ტუპით ჩამოვარდნ მირს, ზოგი ფეხებშიაც კი ეცენ ბებერს და ისე ჩაცვივდნ სოროში. დედა-თავგი იდგა შკაფთან ამოფარებული და სანამ ეველა შვილები არ გაისტუმრა სამშვიდობოს — არ დაიძრა.

ამავე დროს მეორე ოთახიდან შემოვარდნ მხარულათ ახლათ გამოღვიძებულნი ბავშვები და სიცილი-კისკისით დაიძახეს:

— ჩვენზე ადრე ეკენი დაუხვდენ ასალწელიწადს!

ტასო.





უღანაუაულოთ დაცხილნი.

სოფიომ ჯამსე მდებარე ჭეინტლი უკანასკნელათ
გადაუწურა სასველე ქოთანში, ძარღილი დააუ-
რა და წაიღო თაროსკენ, სადაც დიდი საველე ქო-
თანი იდგა. ეველი ქოთანში შეინახა, მაგრამ სარქ-
ველის დახურვა კი დაავიწყდა.

შუა ღამე იყო. სოფიოს ოჯახს ტკბილათ ეძინა.
შინაური ბებერი კატა კერასთან იწვა და ისიც
ტკბილს ძილში იყო.

— ჩხაკ, ჩხაკ!.. მოისმა რაღაცა ხმა. ეს იყო
მესობლის მსუნავი სვადი კატა. რომელიც სახლის
გარეთა კუთხეს აწვა. სახურავსა და სახლის სარტ-
ველს შუა გაძვრა და სახლის ჭერზე ფეხ აკრეფით
შემოიხარა. თაროს რომ მიუახლოვდა, ეველის სუნი
ეცა. ერთის ნახტომით თაროსე დაიბადა და ევე-
ლიანს ქოთანში თავისუფლად მოიკაღათა...

გათენდა. სოფიო ჩვეულებრივ საოჯახო საქმეებს შეუდგა. თაროსე საველე ქოთანს თავ ახდელი შენიშნა; მივიდა, ჩაისედა, მაგრამ შიგ ვეელის ნიშნიც კი არ დახვდა.


— უი შე, საშიშარი კატის ჭირი გავიხნდა! სასოწარკვეთილივით შეჭკვიულა სოფიომ, ჯოხს ხელი წამოავლო და შინაური კატისკენ გამოექანა. ბებრუსანა, თითქოს განგებო, ისევე კერასთან იწვა და ახლად განაღებული ცეცხლისაგან ბებერ ძვლებ შემობარი სასამურათ ღრუტუნებდა. ეტეობოდა, რომ დიდ ნეტარებაში იყო ის ამ დროს. მაგრამ ნეტარება ძალე მწუხარებათ შეეცვალა. ჯოხისაგან ზურგ ამწვარი ელვასავით წამოიჭრა და კარებში გამოვარდა. გაქცეულ „დანაძავეს“ გამოუდგენ. ვეელაზე მეტად ცნარობდა ჰატარს თამრო, რომელიც აქამდის კატის დიდი მეგობარი იყო. ჯოხ მოღერებული მისდევდა თამრო თავის ყოფილს მეგობარს და მისძახოდა: „სად წახვალ, შე წუწკო, შე მსუნაგო...“ კატა გარბოდა. მას ვერ წარმოედგინა, თუ რითი დაიმსახურა ამ თავისიანების გულის წერომა!.. ვეელაზე მეტათ კი საბრალე ციცუნის თამროსაგან წედებოდა გული სირბილის დროს ხშირად შეხერდებოდა, თავს მოიბრუნებდა და განცვიფრებით თვალებს თამროს მიაშტერებდა, თითქოს ეკითხება:

„მეგობარო, ასე რად მომიძულე? ნუ თუ შენც არ კინდა გაიგო, რომ უდანაძაულოთ დავისაჯე! ნუ

თუ შენც სხვებივით განუკითხავი და შეუბრალებელი ხარო!...“

ამ დროს მესობლის სახლის სასურავზე იჯდა მსუნავი კატა და უკვირდა: ნეტა რას ერჩიან ამ ბებრსაო!...

6. ზომღეთელი.



მაწვილებო! დააქვრდით ამ სურათს და დამიწერეთ ამის ამბავი. საუკეთესო ამბავი დაიბეჭდება და ამხსნელს მიეცემა 12 ფერადი ნახატი ცხოველების

შობის წინ.

(კომედია ერთ მოქმედებად)

მოქმედნი პირობი: მამალი, დედალი, იხვი, ბატი, ინ-
დოური, ღორი, ფინაა და კატა.

სცენა წარმოადგენს საქათმის ერთ კუთხეს კარის ახლო; გარედ მიდამო თოვლით არის მოფენილი. საქათმის ერთ ამაღლებულ ადგილს, სადაც ნაგავია მყირილი, გარს შემოხვევიან სხვა-და-სხვა შინაური ფრინველები: თავში ზის ქათმების წარმომადგენელი, კარგა მოზრდილი ბებერი დედალი, მის გვერდით გრძელ ნისკარტიანი იხვი, შემდეგ ბატი და ინდოური. ყველა მათგანს სცივა, — თმები აბურძგვნიათ. გამუდმებით თოვს. ქათამი ნაგავში იჩხრიკება, იხვს სთვლემს, ბატი და ინდოური რალაცაზე გამუდმებით ბაასობენ...

— ყიყლიყო, ყიყლიყო! — მოისმის ამ დროს ხმა მამლისა, ყველანი შეკრთებიან და დარაზმდებიან.

მამალი (მიუხსნლოვდება და თავს უკრავს).

ყველანი ერთად. დღეგრძელობა ჩვენს ძაძალს, დღეგრძელობა! (მოწიწებით თავს უკრავენ).

მამალი. (ჩანსვედაებს) ბეგობრებო! ღორი ჯერ არ მოსულა, ძაგრამ იძას ჩვენ ძაინც ვერ მოვუცდით; საჭიროა საქმეს ესლაგ შევუდგეთ; ამოვირჩიოთ თავმჯდომარე!

დედალი. მე ვასახელებ თავმჯდომარედ ძაძალს.

იხვი, ბატი და ინდოური (ერთხმად). კარგი იქნება, კარგი იქნება; გთხოვთ ძაძალო, გთხოვთ.

მამალი. (წავა და ძაღალ ადგილზე დადგება, ერთს



კიდევ ჩახველებს). ამხანაგებო! დღეს ჩვენ აქ შეგ-
 კრებილვართ მეტად რთულ საქმისთვის. ჩვენ, რო-
 გორც წარმომადგენელი სსჯა-და-სსკა ფრინველები-
 სა, უნდა ვცდილობდეთ სიმართლე იქნეს ეველგან და
 ეველასათვის. გვეყოფა რაც ტანჯვის დღეები გამო-
 ვიარეთ. ირგულივ მტერი გვაწუხებს, ეველანი ჩვენ
 გვერჩიან, ბრალიანსა და უბრალის ეველას გვიჭე-
 რენ, გვხოცვენ და ჩვენს მართლიან, გემრიელ ხორცს
 მიირთმევენ. უნდა საერთო ძალით ვიბრძოლოთ მათ
 წინააღმდეგ. გთხოვთ წარმოსთქვათ თქვენი აზრი.

დედალი. შე არ შემიძლია გულ-გრილად ვუცქირო
 კაცების საქციელს. ითხი გზობა გამოვსარდე შვი-
 ლები, მაგრამ ეველანი დამისოცეს, ერთი წამლათაც
 არ შემარჩინეს. ესლა მეც მიპირებენ შეჭმას, რა არის,
 — დაბერებულა და არ ვარგა სასლში დასაყენებლ-
 თაო, სვალსევეთ შობაა, — დმერთმა იმათ ნუ გაუთე-
 ნოს ეს დღე, — და იმ დღეს წამჭრიან უთუოდ კი-
 სერს, თუ ესლაგ თავს არ ვუშეველე. ასე ამბობენ:
 ძალიან თუ არ მოიხარმა, ისეთი ბებერია, რომ იმი-
 ნი ხორცი არ შეეჭმევაო. აბა, რავენა, დავიღუპები,
 თუ ესლაგ არ შევერთდით და არ დავიწვეთ ბრძოლა.
 ამხანაგებო! საჭიროა მჭიდრო კავშირი.

ეველანი ერთად. შევერთდეთ, შევერთდეთ! (ტაშს
 უკრავენ დედალს, ფრთებს ატელაშუნებენ).

ინდოური. (მოჭეკება ბურღუნს წეროძის კილო-
 თი) ბრღლუუ .. ბრღლუუ!



მამალი. რა გინდა ინდოურო?

ინდოური. მე მინდა სიტუვა ვთქვა.

მამალი. მერე აქ წერობას რა ადგილი უნდა ჭქონ-
დეს? სიხუბე იეოს. სიტუვა ეკუთვნის ინდოურს.

ინდოური. დედალს დაენაცვლოს მთელი ქვეყანა,
იმან სთქვა ნამდვილი სამართლიანი სიტუვა. მე მზა-
თა ვარ ვადაგვოცნო დედალი (მიიწევს საგოცნელად).

დედალი. (მეჭევირებს) არ მომეკარო ახლოს, მე
წუძახე.

ინდოური. (განაგრძობს). დიას. მეც, ქათმისა არ
იეოს, შობა დღეს კისერს ვამაგდებინებენ და ისეთ
საცივს გაიკეთებენ თავიანთთვის, რომ თქვენგნითაც
მოწონებული იქნეს. რას მერჩიან? მე იმათ არაფერს
ვუძახებ.

მამალი. საკითხი გამოსარკვევია...

იხვი. თავმჯდომარე! სიტუვის ნებართვას ვითხოვ.

მამალი. სიტუვა ეკუთვნის იხვს. სიხუბე იეოს.

იხვი. მე ბევრი რამ მინდოდა მეთქვა, მაგრამ
დედალმა და ინდოურმა საკმაოდ ილაპარაკეს, ამიტომ
მე შოკლედ ვიტუვი. საჭიროა საქმის გადაწყვეტა და
სისრულეში მოყვანა დღესვე, თორემ სვალ საღამო-
დან, ვინც დასაკლავნი ვართ, უკვლას დაჭერას და-
გვიწუებენ. მეც, თქვენი არ იეოს, სიკვდილი არ აძ-
ცილდება, რადგან შობა და იხვის წუნისანი სუფრასზე
არ ჭქონოდეთ — ჯერ არ ყოფილა. ამიტომ წინადადება
შემომაქვს, რომ საჭიროა საქმე ჩქარა დაუბოლოვოთ.



მამალი. შენი აზრი, ბატო; ჩქარა, დრო მიდის!

ბატი. (მამლის უვიროლმა გამოაყენისლა). მე... მეც ისე, როგორც თქვენ, მეც თქვენი ამხანაგი ვარ... ერთობა მეც მინდა!..

მამალი. (შენიშნავს) აქ დასაძინებლათ არ მოკუსუღვართ.

ბატი. არა ისე, მე ფიქრმა გამიტაცა, თორემ მე სიეოხადეში არავის ჩამოკუწრები...

მამალი. (შეაწუგებინებს) ვიცი, რა შვილიც ბრძანდები. აბა, რა საშუალებას მივმართოთ, რითი მოვიკეროთ მტრები; თქვენ დაგზავიწუდათ, რომ მარტო კაცები არ არიან ჩვენი მტრები; ჩვენი მტერია: ძალი, ფინია, კატა. ნუ თუ არ გასსოვთ, იმ დღეს ფინიამ როგორ გაგვაშწარა? ყუფითა და ღრიალით გადააურუა არე-ძარე! ჭო და, ამიტომ ესლა ვიძსჯელთ საშუალებაზე იმათ წინააღმდეგ. მე თუ შეიძნავთ, ჩემი აზრი ასეთია: ყველა გამოვიდეთ იმ ფარხმლითა, რომელიც მოგვეპოვება და დავიცვათ ჩვენი თავი. (ამ დროს საქათმის კარებში თავს შემოჭყოფს ღორი, ცდილობს შემოსვლას, მაგრამ აღარ ეტეკა).

ღორი. სალაში თქვენ! (ყველანი თავს დაუკრავენ).

მამალი. დიდი საყუდური, ღორო, რომ დაიკვიანე.

ღორი. დიდი ხანია რაც მოვედი, მაგრამ კარებში ველარ შემოვეტიე.



მამალი. ძალზე კი გასუქებულხარ, ალბათ სვალ, შობის წინ, წაგჭრიან მაგ ჩაქინდრულ კისერს. (მიძარტავს კრებს) გამოხსნე, რა საშუალებით ვუშველოთ თავს.

დედალი. გთხოვ ამის შესახებ სიტყვა მომცე.

მამალი. სიტყვა ეკუთვნის დედალს.

დედალი. რაც შემეხება კერძოთ მე, როდესაც საჭირო იქნება გაქცევა, გავიქცევი და ღონესაც გამოვიჩენ. მართაფ ია, თუძცა დავბერდი, მაგრამ გული ახალგაზრდისა მაქვს.

მამალი. ესლა კი მოგიუვებით ბატის ქებას. ბატო, როდესაც ფრენა საჭირო—იფრენს, როდესაც ცურვან საჭირო იცურავებს და როდესაც რბენან საჭირო, არც ამაში ჩამოურჩება სხვებს. ვთხოვოთ ძას, გამოიჩინოს ასეთი დიადი საქმეები ბრძოლის დროს და გვისწავს შობას სიკვდილისაგან.

ინდოური. (შენიძნავს) სცდები ბატონო. ბატმა ესენი ვეკლაფერი იცის, მაგრამ ვეკლაფერში სუსტია. ათას წილად უკეთესია, ერთი რამ იცოდე და კარგად, რომ არაფერს გჯობნიდეს. ბატს ცურვაობაში ისევე სჯობია; რბენაში შენ, დედალო, სჯობისარ, ამას მოფერებით არ გეტყვი; ფრენაში კი ბატი მთლად წყალწადებულა. ბატს მე დიდათ ჰატვისს ვსცემ, მაგრამ სიძარტლეს ვაძობ. რაც შემეხება კერძოთ მე, ძამლის დახმარებით ისეთ ვგირილს და ღრიალს მოვრთავ, რომ მტერს ცუდ დღეს დავაყენებ.



ლორი. კარებში ვერ შამოვეტიე, თორემ ერთ კარკ კოცნას ვუძღვნიდი ინდოურს. ის სამართლიანად მსჯელობს. უვირილში და ჭევირილში მას მეც დავეხმარები.

მამალი. დიანს, ინდოურმა ძართალი სთქვა. მე შემიძლია ვიელიყო დავსძასო და ჩვენს მეომრებს თავი მოუყარო; ამაში უცილობლად გამოვდგები. (ამ დროს კარედან, კარებთან ახლოს, მოისმის ფინიას ყუზა და კატის კნავილი ყველანი შეკრებიან. ღორი ჭევილით გაიქცევა).

მამალი. ნუ შიშობთ, სჯერთო იერიში მივიტანოთ (შემოდინს ფინია და კატა, ყველანი მოწიწებით თავს დაუკრბავენ).

მამალი. ჩვენ, ბატონო სტუმრებო, ესღა სჯახბასანი გვექონდა შესახებ იმისა, რომ შობას თავი არავის მოვაკვლევიოთ და იმ აზრს დავადექით, რომ სჯერთო ძალით გავილაშქროთ კაცების წინააღმდეგ. ჩვენ წარმომადგენლები ვართ სსვა-და-სსვა შინაური ფრინველებისა და იმედია თქვენც დაგვეხმარებით ამ საკეთილო სასოვადო საქმეში. (ფინია და კატა გაკვირვებით ერთი-მეორეს გადასყდავენ).

ფინია. (ეუბნება ჩუმად კატას) ავერ ორმოცი დღე გადის და ლუკმა სორცი პირში არ ჩაგვიდევს. ესენი შობა დღეს რომ არ მოკლან, ჩვენ სომ მერეც უსოცოტოთ დაურჩით!

კატა. (გაწვევტინებს) მაგრამ როცა მოკლამენ,



თავ-ფეხებს უთუოდ ჩვენ გვარგუნებენ: ნეტა მოვი-
დოდეს ძაღვ ეგ შობა!

ფინია. (ჩუქად) დიას, ჩემო კატავ, ჩვენც უნდა
გავისისხლიანოთ პირი, ამიტომ ჩვენ უნდა გავუწიოთ
ამათ დიდი წინააღმდეგობა, ესლავ, სანამ შეერთდუ-
ბოდენ, ვეცეთ და გავდენოთ აქედან, გავფანტოთ, მა-
ვი დღე დაუუენოთ! ამ წუძვაქებსა!

კატა. (მიძართავს კრებას) შე და ფინია ამისი
დიდი წინააღმდეგნი ვართ. ჩვენ ორმოცი დღეს ხორ-
ცი არ გვიჭამია და აბა, თქვენ წარმოიდგინეთ, რო-
გორ შეგვიძლია შობა დღეს უხორციოთ დავრჩეთ.
თქვენთვის უძობესია ამ საქმეს თავი განებოთ, თო-
რემ...

ფინია. (სიტყვას ჩამოართმევს) თორემ, შემდეგ ვი-
ცი, დაბადების დღეს დავაწვევლინებ ვეფლა თქვენგანს!

მამალი (მოწიწებით) დიდებულო კატავ და უდი-
დებულესო ფინიავ! ჩვენ არავისთან არავითარი დანა-
შაული არ მიგვიძღვის, მაგრამ მაინც გვდევნიან, მა-
ინც სიკვდილით გვსჯიან!..

ფინია. (შეჭყვირებს) სმა გაჭკმინდე შე ეოეოხო
ბებერო. შენ პირველს გვეუთვნის სიკვდილი... (ვეე-
ლანი ერთად ახმაურდებიან და უკმაყოფილების ნიშ-
ნათ ზუზუნს მოჭყვიებიან).

ფინია. (მიძართავს კატას) გავაგდოთ ესენი აქე-
დან, რა მათი საქმეა კრება, (სმა ძაღლა) გაეთრიეთ
აქედან თქვე არა-ამხადებო! ვის რას უკეთებთ, თუ
ხორციითაც არ გვასარკებლეთ.




კატა ძივარდება ქათამს და იხვს და ორივეს გარედ გაისტუმრებს.

ფინია მაძალს კანბრძანებს. ბატი თავისითიკადრებს გასვლას.

შემდეგ ამისა ინდოურს ორივენი ერთად ვიწამალს გადაგორებენ საქათმეს კარებთან.

ფინია ერთ-ორს კიდევ შეჭეუფს და უველანი გაიფანტებიან.

ლადო გეგეჭკორი.





ზამთარი



ამთრის დღე არის... ჯანღ-ნისლი
ჩამოსწოლია არესა,
ქარი ჰქრის კაეშნიანად
აწყდება არე-მარესა.

ფოთოლი ცვივა... ცრემლს აფრქვევს

ქვეყანა ქალა მთიანი—

დაჰკარგეს გაზაფხულისა
დღე მოკაშკაშე მზიანი.

წალკოტი გაყვითლებულა
ველზე ჩამქნარა სუმბული,
აქვითინ აჩქურებულა
მფრთოვანთ მგოსანი ბუღბული.

მუხა კი... მუხა ამყად
მდგომარე მოსჩანს ბარზედა;
შიშით არა კრთის გრიგალის
შესაზარელსა ხმაზედა.

სწამს, შემოდგომის სიმძაფრეს
არა აქვს ჟამი ხანგრძლივი;
დაჰკრავს საათი... ცის თალზე
გამობრწყინდება მზის სხივი.

ყინული სწრაფად დადნება
აყვავდებიან ველები;
წყობ-წყობად მოიფინება
ფრინვლებით კორდებ-სერები.

კისკის-ტიტინით მოსკდება
სალ კლდიდან წყარო ანკარა
და გაუღიმებს ფირუზ ცას
შხეფების მსრბოლი წკანწკარა.

დ. თურდოსპირელი.



გულმა იგრძნო

(საშობაჲს მითხრობაჲს).



იყო თედო, „რას იცინგლები, რა დაგე-
მართა, უთხრა მართამ,—ღღეს-ხვალ ღღე-
სასწაულები მოდის, დრო ბევრი გექნება.
გახვალ-გამოხვალ, ბევრს რასმეს ნახავ ამ
ჩვენ დალოცვილ ღიდ ქალაქში.

თედომ პასუხის მაგივრათ უფრო ამო-
უშვა ქვითინი.

— ქალბატონო, უთხრა იქვე მდგომმა
მეფხოვემ,—მაგას მაინც უნდოდა სოფელ-
ში წასვლა, სულ ნაღვლობდა და ღღეს
იქიდან ჩამოუტანეს ამბავი: დედა შენი

ავათ არისო, რატომ არ მიხედავო.

— მერე, შვილო, ამისთანა ღიდ ზამთარში როგორ უნდა
წახვიდე. ამბობენ, ზემო ქართლში ღიდი თოვლი იცისო.

თედო ერთ წამს გამოფხიზლდა, თვალები შეიწმინდა და
მარდათა თქვა:—არა მიშავს რა, „მაშინა“ ჩვენ სოფელთან სულ
ახლოს მიდის, იქიდან ერთი ზელის გაწვდენაა, მეტი არა,
თვალე დახუჭული რომ წავიდე—მივაგნებ, ოღონდ გამი-
სტუმრეთ.

* *

*

თედოს მამა, ბესო, ძალიან მცირე მამულის პატრონი იყო
და ახალგაზრდობაში მუდამ მოჯამაგირეთ დგებოდა შემძლე მე-
მამულეებთან მას წიგნის ხალისი ღიდი ჰქონდა, მეტადრე



ლოცვების შესწავლა უყვარდა. მერე, როდესაც დასახლკარდა, მღვდელს მიეკედლა და იმდენი იფარჯიშა, რომ ბოლოს დიანობაც შესძლო. მისი ცალი თებრონია სუსტი აგებულობის ქალი იყო, მაგრამ გამრჯე და მოჭირახულე ოჯახისა. შვილები ბევრი დაეხვიენ და მათი გამოზრდა გაუჭირდათ. დროზე ვერაფერს აწვდენდენ: შვილები ხან გაუცივდებოდათ და დაავატმყოფდებოდენ, ხან სახადი გაუჩნდებოდათ. ბოლოს შერჩათ ორი შვილი: უფროსი ვაჟი თედო, და მეორე შვილი— გოგონა—ჯერ სულ პატარა ჰყვანდათ. თედო მღვდლის შემწყობით დააბინავეს ქალაქ ადგილას, სადაც უნდა ესწავლა ყველაფერი: წიგნიც და ხელზედ სამსახურიც. თებრონიას მზე და მთვარე ამოსდიოდა თედოზე, მისი მოშორება ეძნელებოდა. ბოლოს ყველამ დააჯერეს დანადგლიანებული დედა, რომ თუ უნდა შვილი კარგი გამოუვიდეს—უნდა მოითმინოს.

და თებრონიაც ითმენდა. მისი სიხარული თედო მხოლოდ ზაფხულობით მოვიდოდა მასთან.

*
* *

ზამთრის პირათ თებრონიას ერთი საშინლათ გააცევა, მისცა დიდი სიცხე და ლოგინათ ჩავარდა. მეზობლები შემოდიოდენ, ქადს უცხოზდენ, ყურს უგდებდენ. ყველა სოფლის წამლები სცადეს—თებრონიას არა ეშველარა, სალოცავათ წასვლაც შეუთქვეს, მაგრამ ქალი გავერანებული სიცხით ბოდავდა და სულ თედოს ხსენებაში იყო. ბოლოს მღვდელმა გადასწყვიტა: წავალ და ფერშალს ამოვიყვანო—ამინდი საძაგელი იყო, წვიმა, ტალახი, თანაც ჩვეულებრივი ზენა ქარი უბერავდა.

მეორე დღეს მღვდელი დაბრუნდა წამლებით. ფერშალი არ წამოჰყოლოდა. მღვდელმა ფერშლის სიტყვით ბესოს გამოუცხადა—თებრონია საოფლით ავათ არისო და თუ ჯანი შესძლებს თავის დროზე გამოზრუნდებო. მღვდელმა თავისი ოჯახი მაშინვე გახიზნა, ბესოს პატარა გოგოც თან გაატანა იმათ.

გავარდა სოფლათ ხმა, თებრონიას სახადი სჭირსო. მეზობლებმა შიშით ფეხი ამოიკეთეს, ხოლო ქადს და რძეს აწოდებდენ კარებიდან. თებრონიას თავთ უჯდა ბესო დაღვრე-



მილი და ნაღვლიანათ შესკვროდა. აი, დღესასწაულები ახლოვდება და საშველი კი არა მოჩანსრა, სანუგეშო არაფერია. სწორეთ ამ დროს ბიჭებმა ჩაიტანეს ქალაქში ამბავი თებრონიას ავადმყოფობისა და თედომაც შეიტყო.

* *
*

შობის წინა დღეს, გათენებისას, თელია გულის ფანცქალით ემზადებოდა გამგზავრებას. ისიც კი მოახერხა, რომ დედას თავშალი უყიდა, პატარა დას უშოვა რაღაც წითელი კაბა, მეზობლის ყმაწვილის ვამონაცვალი, ორიოდ კანფეტი, ერთი ასხმა ბუბლიკისა, ყველა ეს გამოჰკრა ხელთახოცში და გაწითლებული ლოყებით გამოესალმა მართას.

„მაშინაში“ რომ ჩაჯდა, მაშინ კი დანაღვლიანდა: ვაი თუ დედა ძალიან ავად არისო, ვაი თუ ვერ მოვეუსწრო, ვვლარ ვნახო, და ცრემლები მოადგა თვალებზე. მაგრამ მატარებელში აუარება ხალხი იყო; შათმა ჟივილ-ხივილმა და ხმაურობამ გაართო ბავშვი. ამასთან ერთათ მატარებელში ჩახდენ სამი-ოთხი მოქეიფე კინტოები, ესენი ერთი-მეორეს აძლადებდენ ღვინის დაღვევას. ერთი მათგანი მოუბრუნდა თედოს და უთხრა:

— ბიჭო, რას ჩამოგტირის პირის სახე, დაიჭი ეს ყანწი, დალიე!

თედომ ქვეშ-ქვეშათ გახედა და უთხრა: „არ მინდა!“

— როგორ თუ არ გინდა, რას მიჰქარავ! ხვალ შობაა და არ გინდა რომ გვადღებოდქლო. დალიე, თორემ მე ვიცე მენი!

თედომ მოწიწებით, შიშით ჩამოართვა ყანწი და ერთ ყლაპათ გადაჰკრა. ღვინის უჩვევ ბიქს, მართლაც გულიდან ნაღველი გადევარა. ახლა თავში სხვა მხიარულ ფიქრებმა გაუფელვეს. წარმოუდგა, როგორ დედა მხიარულათ დახვდება და ეტყვის: „შენ გვაკლდი, შვილო, და აკი შენც მოხვედი.— ჩაჰკოცნის, ჩაიკრავს გულში, მამა გაეშურება ცისკრის დასარეკათ. თედოს უნდა ამოიღოს დედის თავშალი და დის წითელი კაბა, მაგრამ დახეთ უბედურებას, შეკრული ხელში აღარა აქვს. ყმაწვილი უცბათ მობრუნდა და ტყაპანი მოიღო.

ძირს, მატარებლის იატაკზე... თედოს თურმე ჩასძინებოდა, მაშინვე წამოვარდა ფეხზე, დაიწყო შეკრული ხელთახოცის ძებნა და ტირილი. შეზარხოშებულმა კინტოებმა უპოვეს დანაკარგი და მის ტირილზე ბევრიც დასცინეს.

თედომ გაიხედა ფანჯარაში, მთელი არე-მარე თოვლით იყო მოფენილი და ზემოდამაც ფერფლავდა. ზენაქარი აყრიდა თოვლს ფანჯრებში. ამათ კარგა მანძილი გაეფლოთ, შუადღე გადასული იყო. ამ თოვლმა თედო ცოტა არ იყოს შეაფიქრა, ვაი თუ ჩვენკენ ძალიან ცუდი ამინდი დგასო. მაგრამ გარშემო ისეთი მხიარულობა და ქეიფი იყო, რომ ბავშვი გაერთო, დარდი გადაეყარა, გული გაიმაგრა და მოლოდინში იყო, რომ ეს არი ახლა მივალთ ჩვენ სადგურზეო.

* *

ბინდი იყო, რომ მატარებელი შეჩერდა ამათ სადგურზე. თედო ვადმოვიდა, მიიხედ-მოიხედა, უცბათ შემოაჰბერა ქარმა და ქუდი მოსტაცა. თედო გამოუდგა ქუდს, თუმცა ორჯელ ჩაიფლა თოვლში, მაგრამ ქუდი იპოვა.

მატარებელი წავიდა. თედო შევიდა სადგურის დარბაზში, იქნება წამსვლელი ვინმე ვნახოვო, მაგრამ შენი მტერი, რომ იქ არავინა ნახა, შექამა ერთი ლუკმა და უნდა გზას გასდგომოდა. უჯოხოთ ვერ წავილოდა.

— ბიჭო, ჯოხს კი გიშოვით, მაგრამ ვერ წახვალ, ნამქერი დაგახრჩობს, მოიცადე ქარი ჩავარდეს, ეუბნებოდენ სადგურის მოსამსახურენი. თედო თავისას არ იშლიდა. უნდა სახლში ამაღამ მივიდეო.

— ხედავთ, ეს ბესოს ბიჭი რა თავხედია, ეუბნებოდენ ერთმანერთს დამსწრენი.

თედო გაუდგა თავის სოფლის გზას. ჯერ ცოტა ადგილას არა უშავდარა და იფიქრა: ნელა, ნელა წავალ, რა მეჩქარება, ჯერ ახლა ბინდდება, იქნება ქარიც ჩავარდეს. მაგრამ მალე სიარული გაუძნელდა, ქარი თოვლს პირში აყრიდა და ყმაწვილი ისე ძნელათ აბიჯებდა, თითქოს სულ ერთ ადგილას დგასო. როდესაც აღმართ-დაღმართ შეუდგა, სწორეთ მაშინ დადგა მისი გასაჭირი: ხან სად ოღრო-



ჩოღროში ჩავარდებოდა და ხან საღ წააქცევდა ნამქერი. ეს მოკლე გზა ყმაწვილს ახლა უბოლოვით ეჩვენებოდა. ზოგჯერ ეგონა, რომ ველარ შესძლებს, ნამქერი საღმე წაახრჩობს.

— აი იმ სერზე რომ ავიდე, სოფელი გამოჩნდება და აღარა მიშავსრა. ანუგეშებდა თედო თავის თავს.

უცბათ ჯურღმულს წააწყდა, ნამქერთ სავესს, იქილამ მოისმოდა რალაც ღმუილი, ერთ ადგილას ჩაშავებული იყო, ჯოხიც მოჩანდა. თედო შეშინდა, შეფიქრიანდა, მთებიდან ნაღირი ხომ არ გადმოვარდნილაო, ამ დროს გარკვევით ადამიანის კენესა შემოესმა. ყმაწვილი გაბედულათ მივიდა ახლოს, ჯოხს ხელი მოჰკიდა, მაგრამ ვილაცას მაგრათ ეჭირა. დააქქერდა და ნახა მოხუცი ფარაჯაში გახვეული. დასწვდა, უნღა აეყენებინა, მაგრამ ვერ შესძლო. იქვე ეგლო ჩიბუხი, კვესი და აბედი, გაჰკრა კვესს და ცეცხლზე ჩააქქერდა მოხუცს და უცბათ წამოიძახა:

— ჩვენი ლუკა, ჩვენი ლუკა ყოფილა.

მოხუცი შეინძრა, თვალები აახილა და სცადა წამოდგომა. თედოს გაეხარდა, თანამოგზავრი ვიშოვეო. ლუკამაც იცნო პატარა თედო. გამოელაპარაკენ ერთმანერთს. თედომ ჰკითხა დედის ამბავი, ლუკამ ორჯობათ უპასუხა; ამბობენ დიდი ავითმყოფია, მაგრამ იმედია გამობრუნდებაო.

თურმე ლუკა, რომელიც ამ ბოლო დროს მათხოვრობით ცხოვრობდა—წამოსულა სოფლიდან. რომ ამ დღესასწაულებში საღდურზე იმათხოვროს. ამას სახლში აღარ უდგებოდა გული, რადგან ცუდათ ეპყრობოდენ და გზაზე ამისთვის ნამქერს მოესწრო.

თედოს ლუკა უკანვე გამოჰყვა, ორივენი შეუდგენ მაღალ სერს. ნამქერი ხან ერთს წააქცევდა და ხან მეორეს. თედო უფრო ხშირად ეცემოდა ძირს, მაგრამ ისევ მალე წამოხტებოდა. მაღლა სერზე რომ ავიდენ, იქ გზები სხვა და სხვა სოფლებისკენ უხვევდნენ, შესაძლო იყო ასცდნოდენ თავიანთ სოფლის გზას, ცდილობდენ, გზა არ შეშლოდათ. უცბათ შემოესმათ ეკლესიის ზარის ხმა: „დინ, დინ...დინ... ყრუთ მოისმოდა. თედო ათრთოლდა, ტანში ქრუანტელიმა გაურბინა,

იგრძნო რაღაც სიამოვნება და წამოიძახა: ეს ხომ ჩვენი ეკლესიის ზარია, მამამ იცის ასე დარეკა. ლუკამ პირჯვარი გადმოწერა და თქვა: «ღმერთმა კიდევ გადამარჩინა. ვენაცვალე იმის მადლს, არ უნდა ჩემი სიკვდილი.»

ქარი თითქოს ჩავარდა, აღარ აყრიდა ნამქერს. თედომ უმატა ნაბიჯს, დგლავდა და მოუსვენრათ მიათრევდა ლუკასაც. ლუკა ისე არჩენიათ იყო, რომ ჩიბუხიც კი ააბოლა.

* * *

შობის წინა დღეებში თებრონია ძალიან შეწუხდა, სიცხემ თითქოს უმატა, მოჰყვა ბოდვას, თედოს და პატარა გოგონას აბარებდა ბესოს. მერე უცბათ დიდმა ოფლმა გადაასხა — დამშვიდდა და ჩაეძინა. ბესოს იმედი მიეცა და მღვდლის დარიგებით ხშირ-ხშირათ რძეს აწოდებდა დასალევათ.

თებრონია ისე ძალიან მისუსტდა, რომ ეგონა ვკვდებო და გაიძახოდა: — ნეტავი ერთი კიდევ მენახა ჩემი თედო?

შობის წინა ღამეს თებრონიამ ქმარს დაანთებინა ხატის წინ სანთლები. გარედან მოისმოდა ქარის ღმუილი და შფოთი. თებრონია მოჰყვა ვედრებას, რომ ამ ნამქერში არავინ არ დაღუპულიყო. ბოლოს რაღაც მოუსვენრობა იგრძნო და ბესოს უთხრა:

— ხომ შესაძლოა, რომ ამისთანა ვაი-ვაგლახ ამინდში ვინმემ გზა დაჰკარგოს და ცოდვა მოხდეს...

— უბედური ლუკა სახლში ვერ შეიმაგრეს. წავიდა სადგურზე სამათხოვროთ. ვინ იცის სად ჩაიღუპოს.

გარედამ მოისმა ვიღაც ბიჭის ხმა: — შენ ეი, ბესო, მღვდელმა შემოგითვალა საყდრის ზარი დარეკეო!

ბესო სწრაფათ გავიდა სახლიდან და მოჰყვა რაღაც ხალისით და ხანგრძლივათ რეკას. თავის დღეში ასეთი ძალით და გაუთავებლათ არ დაერეკა ეკლესიის ზარი. თებრონია იწერდა პირჯვარს და მკრთალ ტუჩებს ანძრევდა: ღმერთო გვეედრები გადაარჩინე ყოველი ადამიანი უბედურობას!

პატარა ხანს შემდეგ შემოვიდა ბესო, თოვლში გაბარდნული, მაგრამ პირისახე უღიმოდა. — თებრონია, უნდა გახა-



ჭკუილი

რო, კი არ შეგეშინდეს... ჩვენი თედო ხომ მოვიდა, მღვდელ-
მა შეიყვანა თავისთან. ჯერ არ უშვებს შენთან.

— რას ამბობ კაცო, ჩემი თედო მოვიდა, მაშ იმის უნა-
ხავათ არ მოვკვდები! ჩქარა, ჩქარა მომგვარეთ!

ამ დროს კარი გაიღო და შემოვარდა თედო, რომელსაც
ჯოხზე ბარაღივით გაეკეთებინა დედის საჩუქარი თავშალი.

ან. წერეთლისა.





ეკატერინე გაბაშვილისა.

(40 წლის სამწერლო მადეაწეობის გამა).



ის არ გაუგონია თქვენ შორის, ჩემო პატარა მკითხველებო, ამ ძვირფასი ქალის გვარი და სახელი? აგერ აცი წელი სრულდება, რაც იგი თქვენს საყვარელ „ჯეჯილში“ თანამშრომლობს და არმადვი, რაც სამწერლო ასპარეზზე გამოსულა.

1870 წელს აქეთ არც ერთი თვალსაჩინო

ქართული ჟურნალ-გაზეთი არ დარჩენილა, რომელშიაც მონაწილეობა არ მიეღოს. ჩვენს მწერლობაში იგი ცნობილია, როგორც შდაბიო ხალხისა და ყმაწვილთა გულის მესაიდუმლე, მათი ცხოვრების მხატვარი და ერთგული მეგობარი. ვის არ



წაეკითხავთ მისი „მაგდანას ლურჯა“, „ოჯახის ბურჯი“, „ღვთის შვილი“ და მრავალი სხვა! მოიგონეთ, რა კეთილშობილური გრძნობით იმსჯელებდა ხოლმე თქვენი გული, როცა ამ მოთხრობებს ჰკითხულობთ; მოიგონეთ და თან გახსოვდეთ, რომ თქვენი გრძნობის ამგვარი აღფრთოვანების მიზეზი ეკატერინე გაბაშვილის მადლიანი კალამია. ეს კალამი დღესაც დაუღალავათ მუშაობს, — და თქვენი მოვალეობაა ამ თქვენი გულის მესაიდუმლეს — „დიდედა კატოს“ მადლობა გადაუხადოთ. თუ როგორ უნდა გადაუხადოთ მადლობა, — დაე, ეს თვითონ თქვენმა გულმა გადასწყვიტოს. მე კი აქ მოკლეთ გაგაცნობთ ამ ძვირფასი ადამიანის წარსულ ცხოვრებასა და სამწერლო ნამოღვაწევს.

ეკატერინე გაბაშვილისა თარხან მოურავის ქალია და გაბაშვილის მეუღლე. იგი დაიბადა 1851 წელს, 16 თიბათვეს, ქალაქ გორში, სადაც იმ დროს მამა მისი რევაზ თარხან-მოურავი მსახურობდა. დედა მისი, სოფიო ბაგრატიონ-დავითიშვილის ასული, ძლიერ ადრე გარდაიცვალა — და პატარა კატოს აღზრდა მისმა მამამა და დიდედამ (დედის დედამ) იტვირთეს. იმ ხანათ რევაზ თარხან-მოურავმა სამსახურს თავი გაანება და თავისი სიდედრის მამულოში (გორის მაზრაში) დასახლდა. აქ შეუდგა იგი თავისი ორი შვილის აღზრდას. ამგვარათ ეკატერინე გაბაშვილის ბავშობა სოფელში დაიწყო. აქ მისი აღზრდა ორი წინააღმდეგი გავლენის ქვეშ სწარმოებდა: მამისა და დიდედისა. კატოს მამა განვითარებული კაცი იყო და შვილის აღზრდაში თავისუფლებას მისდევდა. პირიქით დიდედა ბარბარე ძველი შეხედულებების ქალი იყო და ბავშვის აღზრდაში უპირატესობას სისასტიკეს აძლევდა.

კატო რომ შვიდი წლისა შესრულდა, დიდედის ჩაგონებით იგი ერთ მწიგნობარ ქალს მიაბარეს. ამ ქალმა პატარა კატოს ქართული კითხვა „დავითნიდან“ დააწყებინა, თანაც ძლიერ სასტიკათ ეპყრობოდა: მთელ დღეს ფსალმუნებს აზეპირებინებდა, თითქმის ნახევარზე მშვიერი ჰყავდა და დღესასწაულებშიაც კი ნებას არ აძლევდა თავისუფლათ ეთამაშნა. შაბათობით, როცა ბავში შინ უნდა წასულიყო, ეს უცნაუ-



რი აღმზრდელი კატოს პირსა და ფეხებს ბამბის ძაფით უზო-
მავდა ხოლმე: ბევრი არ ილაპარაკოს და ამხანაგებში არ ირ-
ბინოსო.

საბედნიეროთ, ამგვარმა წრთენამ დიდხანს არ გასტანა.
ბამბის მეცადინეობით კატო თფილისში ჩამოიყვანეს და ერთი
ფრანგის ქალის (ფაერის) პანსიონში მიაბარეს. ეს კერძო პან-
სიონი 60-იან წლებში კარგათ ცნობილი სასწავლებელი იყო.
თუმცა იქ სწავლა-აღზრდა ფრანგულ გემოვნებაზე იყო მო-
წყობილი, მაგრამ არც სამშობლო ენა ჰქონდათ დავიწყებულ-
ლი. კატოს საბედნიეროთ, იმ დროს ამ პანსიონში ქართულ
ენას საუკეთესო ქართველი ახალგაზდები ასწავლიდნენ. მათ
შორის ყველაზე უფრო ძლიერი გავლენა ნიკო ინაშვილის
სიტყვებსა ჰქონდა: „საქართველო მომაკვდავია, ყელზე დანა
აქვს მიბჯენილი და მისი გამობრუნება მხოლოდ დედა-კაცს
შეუძლიანო“. ამ მასწავლებელთა გავლენით ახალგაზდა ქა-
ლის პატრიოტულმა აღფრთოვანებამ უმაღლეს ხარისხამდე
მიაღწია. ამ გავლენის ქვეშ ეკატერინემ პანსიონშივე დაიწყო
პატრიოტული ლექსების წერა, რომელთაგან არც ერთი არ
დაბეჭდილა. — პატრიოტულ გრძნობასთან ერთათ ახალგაზდა
ქალში მდაბიო ხალხის, გლეხკაცობისადმი სიყვარულის გრძნო-
ბაც ვითარდებოდა. ამას ხელს უწყობდა ერთი მხრით, კანი-
კულების დროს, სოფელში ცხოვრება, — მეორე მხრით 60-ია-
ნი წლების საზოგადო მიმართულება. ეს ის დრო იყო, როცა
მთელი შეგნებული რუსეთი და მასთან ერთათ ჩვენი მხარეც
გლენტა განთავისუფლების პირველი წლებით სტკებოდა; ჩვე-
ნი მწერლობა (ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი) და ჟურნალ-
გაზეთობაც („დროება“, „კრებული“) უმთავრესათ დემო-
კრატიულ მიმართულებას ადგა. და სწორეთ ამით აიხსნება,
რომ ჩვენი ახალგაზრდა მწერალი ქალი სამწერლო სარბიელზე
იმ თავითვე მდაბიო ხალხის მეგობრად გამოვიდა.

თვრამეტის წლისა იყო ეკატერინე, როცა მისი პირველი
წერილი: „გლეხ-კაცების აზრი სასოფლო სკოლებზედ“ დაი-



ბექდა გაზეთ „დროებაში“ 1870 წელს, 8 იანვარს*). მას შემდეგ თითქმის შეუწყვეტლივ იბეჭდებოდა მისი პატარ-პატარა მოთხრობები „დროებაში“ და „ივერიაში“. 1881 წელს, როცა ჟურნალი „ივერია“ ვანო მაჩაბლის ხელში გადავიდა, ეკატერინე გაბაშვილისამ წერას მოუხშირა და უფრო ვრცელი მოთხრობები დაბეჭდა: „კონა“, „რომანი დიდ-ხევაში“, „ორენა და ქუჩე“ და სხვანი. რამოდენიმე მოთხრობა კვირეულ გაზეთ „თეატრშიაც“ დაიბეჭდა. მისი მოთხრობები იბეჭდებოდა, აგრეთვე, გაზეთ „ივერიაში“, „ქართულ ბიბლიოთეკაში“, „კვალში“, „ნობათნი“ და „მომამბეში“. ამ უკანასკნელ ჟურნალში სამი მოზრდილი მოთხრობა დაიბეჭდა (უმთავრესათ ჩვენი ინტელიგენციის ცხოვრებიდან): „თამარის ნუგეში“, „გამარჯვებული ნიკო“ და „ლუარსაბს პატრონი გაუჩნდა“.

1890 წელს „ჯეჯილი“ გამოვიდა; და მას შემდეგ ამ ოცი წლის განმავლობაში, ეკატერინე გაბაშვილისა შეუწყვეტლივ მისი თანამშრომელია. რამოდენიმე მისი მოთხრობა „ნაკადულშიაც“ დაიბეჭდა.

ორიგინალ თხზულებათა გარდა, ეკატერინე გაბაშვილისას ფრანგულიდან და რუსულიდან ნათარგმნებიც აქვს.

მისი ორიგინალი მოთხრობანი ცალკე წიგნებადაც დაიბეჭდა: „რამოდენიმე მოთხრობა გლეხთა ცხოვრებიდან“ 1889 წელს; „საახალწლო ფეშქაში ბავშვებს“ 1890 წელს; და „საყმაწვილო მოთხრობანი“ 1899 წელს.

ამგვარათ სრული ორმოცი წელიწადია, რაც ეკატერინე გაბაშვილისა ქართულ მწერლობას ემსახურება და ოცი, რაც საყმაწვილო მოთხრობებსა სწერს. ასეთი ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამწერლო მოღვაწეობა ქართველი ქალის ცხოვრებაში პირველი მაგალითია. ეს მაგალითი მით უფრო საგულიანსმოა ყოველი ქართველი ქალისათვის, რომ მთელს ამ ხნის

*) „დროება“ 1870 წ. № 1. თვითონ წერილი დაწერალია 1869 წელს, როგორც ბოლო თარიღიდან სჩანს. ხელს აწერს: ეკ. თარხანმოურავისა.

ეკატერინე გაბაშვილისა

განმავლობაში ეკატერინე გაბაშვილისა წვრილ-შვილით იყო დატვირთული (ჰყავდა 11 შვილი, რომელთაგან მხოლოდ ხუთია ცოცხალი); მაშასადამე მწერლობისათვის მეტათ ცოტადრო უნდა დარჩენოდა; და „ვაშა“ მის სიმხნეს, მის ენერგიას, რომ ამ შეზავიწროებელ პირობებში, მისი წრის სხვა ქალთა მიუხედავად, კიდევ ჰპოულობდა დროსა და მოცალეობას—სამშობლო მწერლობაში თავისი წვლილიც შეეტანა.

ვაშა „დიდელა კატოს“! მრავალ-ჯამიერ მისი სიცოცხლე!

ს. გ—ძე.



პატარა სელიმის ყვავი.

(დახასრულს)

II



ად იყო ამ დროს ჩვენი ყვავი? პავლემ შაშით, რომ არ შეუტყონ ყვავის მოპარვა, მაშინვე გაასწრო თავი სოფლიდან. იმან თავისი ორღანი-თა და ყვავით შემოიარა მთელი ყირიმი. პირველათ ყვავს ფეხზე პატარა ჯაჭვი ჰქონდა მიბმული, რომ არ გაქცეულიყო. მაგრამ ეს ჯაჭვი ისე გრძელი იყო, რომ ყვავს შეეძლო კარგა მანძილზე გავლა-გამოვლა. პავლემ ასწავლა ყვავს ყუთიდან ამოღება ქალაქდებისა და ხალხისთვის მიწოდება; ქალაქდზე აღნიშნული იყო სათითაოდ ყველას ბედი. ყვავი დაუღალავათ დახტოდა მუსიკის დაკვრის დროს. მერე აიღებდა პავლეს ქუდს და ჩამოატარებდა ფულის სათხოვნელათ. აღტაცებაში მოსული ხალხი უხვათ უყრიდა ქუდში წვრილ ფულს პავლემ სევასტოპოლის ცირკში ბევრი ახალი ჯამბაზური რამეები ნახა და ყვავს შეასწავლა. პატარა ხის კიბეს ზემოდამ ზარი მიაბა, ყვავს ასწავლა კიბეზე ასვლა. ხტომით ერთი საფეხურიდან მეორეზე ავიდო-



და მაღლა და მერე პავლე ეტყოდა კმაყოფილი ღიმილით: აბა, ყვავო, ჩამოჰკარ ზარი, სადილობაა! და ყვავი მორჩილათ ასრულებდა მის ბრძანებას.

ქკვიანმა ფრინველმა თავის უნებურათ სახელი გაუთქვა პავლეს. ყველა იმ ქალაქებში და ადგილებში, სადაც კი მოიარეს ამათ, სხვა მეარღანეებთან გასარჩევათ ეძახდნენ „მეორღანე ყვავითაო“. მთელი ზამთრის გან-



პატარა სელიძის ევავი

მავლობაში პავლე და სენია ერთი ქალაქიდან მეორეში გადადიოდნენ. გაზაფხული დადგა თუ არა, გასწიეს ყირიმის დასავლეთ კიდეებისკენ, იალტის გარემო ადვილებში, სადაც აუარებდა მდიდარი აგარაკები იყო.

და მაისის დამდეგ ესენი გაჩნდნენ იმ სოფელთან ახლოს, სადაც ცხოვრობდა ყვავის აღრინდელი პატრონი სელიძი. სწორეთ ამ მხარეში დიდი მამული ჰქონდათ კუვშინოვებს. ესენი ხოლმე სიამოვნებით მიიღებდნენ ყველა გამვლელ მემუსიკეებს და უხვათაც ასაჩუქრებდნენ, ოღონდაც მათი ერთადერთი ქალიშვილი ოღლა გაემხიარულებინათ და გაერთოთ. ხუთი წლის ოღლა მეტათ გააზიზებულნი და განებივრებული ბავში იყო. დედას, მამას, გამდელს და ყველა მახლობლებს თვალის ჩინათ მიაჩნდათ ყმაწვილი. მისი სიტყვა კანონათ მიაჩნდათ. რასაც კი მოინდომებდა, ყველაფერი უნდა აესრულებინათ და ამ გაუზნევებულ ბავშვს ეგონა, რომ ყველაფერი მის გულისთვის და მის სასიამოვნოთ არის გაჩენილი. მაგალითად ეს საუცხოვო მდიდარი ბალი, რომელიც მათ სახლს გარშემოა, ეს დიადი სახლი, ეს ფერად-ფერადი პეპელები, ეს მოჭიკიკივე ფრინველები — ერთი სიტყვით ყველაფერი, მხოლოდ იმისთვის, ოღლასთვის, არსებობს — ასე ფიქრობდა ყმაწვილი.

მისი ოთახი საესე იყო სხვა და სხვა სათამაშოებით. განა იქნებოდა ისეთი რამე, რომ ბავშვს ენატრა. დადგა მისი დაბადების დღე, 15 მაისი, და გააზიზებულმა ოღლამ არ იცოდა რა საჩუქარი ეთხოვნა დედ-მამისთვის. ბოლოს დედ-მამამ უთხრეს ერთ თუჟანს გაჩუჩუქებთ და რაც გინდა ის იყიდეთ. ოღლას მოეწონა მშობლების ამნაირი გადაწყვეტილება.

ამ დიდებულ დღეს ოღლას ეწვია ბევრი პატარა სტუმრები. სახლის წინ მოედანზე ყველა მხიარულათ თამაშობდა. მოედანი გარშემო მორთული იყო ფერადი ქაღალდის ბაირაღებით და ლიფლიფებით. ღამე უნდა გაეჩირაღდნებიათ ბალი, მაგრამ ახლა მზეზე ლიფლიფები არაფრად შვენოდნენ. ოღლას დედა სხვა და სხვა თამაშოებით ართობდა ყმაწვილებს, მერე მოიღალა და წავიდა უფროსებთან, რომ ახლა იმათ გაუმას-



პინძლდეს. ყმაწვილებმა იწყეს წინდა უკან სიარული, ბოლოს სულ მოიწყინეს. ოღლამ არ იცოდა უღედოთ ყმაწვილებს როგორ გაატარებინოს დრო.

უცბათ ამ დროს მოისმა ორღანის ხმა. გახარებული ოღლა გაიქცა იქითკენ და მას გამოუდგენ ყმაწვილები, მათ მოჰყვენ დიდრონებიც. სახლის შემოსავალ კარებთან იღგა მეორღანე და გულ-მოდღინეთ ატრიალებდა ორღანს და გაისმოდა მისი ხრინწიანი ხმა, ეს იყო ჩვენი ძველი ნაცნობი სენია. აქვე იღგა პავლე ქუღით ხელში. ორღანის წინ ყვავს თავი გვერდზე გაღეღო და ხტოდა. პავლემ დაინახა თუ არა სახლის პატრონები, მაშინვე უბრძანა ყვავს:

— აბა, ყვავო, დარეკე ზარი.

და მიუღგა ხის კიბე, რომღლზედაც ხტომით ავიდა ყვავი ზევით. ნისკარტით დაიქირა თოკი და ჩამოსწია. მართლაც მოისმა ზარის ხმა.

ყმაწვილები აღტაცებაში მოვიღენ. ყვავის ყველა ოინებს გატაცებით უცქერღენ. ბოლოს როღესაც ყმავმა ქუღი ნისკარტით დაიქირა და ჩამოუარა მოისმა ჩხარუნი, ყველა მაყურებლებმა აუარება წვრიღი ფუღი მისცეს. პავლე ძალიან კმაყოფიღი დარჩა, მაღლობა განუცხადა სახლის პატრონს და წასასვღელათ მოემზადა. უცბათ ამ დროს ოღლა აღელვებული და გაწითღებული სახით მივიღა მამასთან და ხვეწნით უთხრა:

— მამიღო, ჩემო მამიღო, ნება მომეცი ვიყიდო ყვავი. მამამ გაკვირვებით გადახედა შვიღს და ჰკითხა:

— ყვავი იყიდო?

— ხო, ყვავი, განაგრძო ოღღამ,—შენ ხომ თუღანი მაჩუქე, რომ მე რაც მიღლოღეს ვიყიდო?

— აგრეც რომ იყოღს, მერე რაში გესაქიროება ყვავი, უთხრა მამამ,—ეგ უბრაღო სუღელი ყვავია.

— სუღაც უბრაღო არ არი და არც სუღელია, თქვა თვალღებზე მომღღარ ცრემღებით ოღღამ, რომელიც თანღათან გულზე მოღიღა—მე მიღდა ეგ ყვავი, ძალიან ჰკვიანი ყვავია, მიღდა, მიღდა...



ყმაწვილი არ იყო ჩვეული, რომ ვისმეს უარი ეთქვა მისთვის და მოთმინებიდან გამოსულმა მორთო ტირილი. დღე-მამას ეშინოდა გააზიზებულნი ქალის ცრემლებისა და დაუწყეს ნუგეშის ცემა.

პავლე მაშინვე დააბრუნეს, მას შემოესმა თუმანზე ლაპარაკი და ყვავის გაყიდვა ნაკლებათ არ მოინდომა.

— რას მიბრძანებთ, ბატონო, ეუბნებოდა ის ოლღას მამას, — მაგისტანა ნასწავლი ფრინველი განა თუმანად არა ღირს? ვგ უბრალო ფრინველი კი ნუ გგონიათ — ძვირფასი განძია. ითამაშებს კიდევ, ფოკუსებსაც გიჩვენებთ. სად იშოვით მაგისტანა ფრინველს?

მეტი საშველი არ იყო — მისცეს თუმანი. პავლემ მოაბა ყვავს პატარა ჯაჭვი და ცოცხალი სათამაშო ჩააბარეს აღტაცებულ ოლღას. ოლღამ და მისმა მეგობრებმა გააქანეს ყვავი აივნის წინ მოედანზე, მიაბეს ბოძზე და აუარება ტკბილელლობა მოუტანეს.

ყვავი უძრავათ იჯდა, თავი გვერდზე მოექცია და დაღვრემილი დაკვირვებით აქეთ იქით იყურებოდა.

იქნება იმიტომ იყო დაღონებული, რომ იგრძნო თავი ისევ დაბმული ყმაწვილებს მალე მობეზრდათ ლალაობა და წავიდ-წამოვიდნენ.

ღამე გააჩირადდნეს ბალი და ყველას სრულებით დაავიწყდათ ყვავი. გაიარა რამდენიმე დღე. ყვავი ცოტაცოტათ შეეჩვია თავის ახალ პატრონს, ოღლა ხშირათ მოხსნიდა ჯაჭვს და ნებას აძლევდა თავისუფლად ეფრინა. ამანაც გამართა ხის კიბე ზართ, როგორც პავლეს ჰქონდა და ყოველ დღე ყვავს ერთ და იგივე ფოკუსებს აკეთებინებდა. მაგრამ ყველა ეს ოღლასაც და ყვავსაც მალე მობეზრდათ და ახალი კი ყმაწვილმა ვერა მოიგონა რა. ოღლას ყვავი ზოგჯერ სულ მივიწყებული ჰყავდა. უსაზრდათ ფრინველს ხეირი არ დაეყრებოდა, კიდევ კარგი რომ მან მიაგნო სამზარეულოს და სანაგვის ადგილს და იქ შოულობდა საჭმელს.

უცბათ ერთ დღეს გაქრა ყვავი. ოღლამ ვერც კი შეამჩ-



ჯეჯილი

ნია. იმან სხვა გასართობი იშოვა—ახალი დედოფალი, რომელიც ახლათ მოსულმა ძალუა მისმა აჩუქა. როდესაც დედა შევიდა ოლლას ოთახში და იკითხა ყვაფი—ოლლამ გულმაფიწყათ უპასუხა:

— არ ვიცი დედილო, უსათუოდ აქ ახლოს სადმე ფრინავს.

მაგრამ როდესაც სადილობის დროსაც, როცა მას საჭმელს აძლევდენ, ფრინველი არ გამოჩნდა, მაშინ კი ოლლამ მოთმინება დაჰკარგა და გულმოსული ხან მამას და ხან დედას მივარდებოდა ყვირილით:

— სად არი ჩემი ყვაფი... მიპოვეთ ჩქარა... მინდა ჩემი ყვაფი... მინდა... ოლლა ტიროდა და ფეხებს ატყაპუნებდა, მაგრამ ყვაფი არავის ენახა და არც არავინ იცოდა თუ სად იყო.

გაიარა რამდენიმე დღემ, ოლლას დაკარგული ფრინველი ცოტცოტათ მიაფიწყდა. ერთხელ მასთან ოთახში შევიდა დედა და ღიმილით უთხრა:

— ოლლა, შენი ყვაფი ხომ გამოჩნდა!

— როგორ? სად არის? შეჰყვირა უცბათ გამხიარულეზულმა ყმაწვილმა.

— სოფელშია, თავის წინანდელ პატრონთან.

— რომელ პატრონთან? მეორღანესთან? მოუთმენლათ იკითხა ოლლამ.

— არა, არა. აქ ახლოს, ერთ თათრის ბიჭთან არის. დამიგდე ყური, ყველაფერს გეტყვი, უთხრა დედამ, ჩამოჯდა იქვე და ყმაწვილი გვერდით მოისვა.—დღეს დილით წაველ სოფელში. უცაბედათ ენახე რომ მუსტაფას ეზოში ყვაფი დახტოდა. ვიფიქრე, ერთი შევალ მეთქი და ვიკითხავ. ყვაფი ამ დროს მიფრინდა სახლის კარებთან და პატარა თათრის ბიჭს გამოართვა უმი ხორცის ნაჭერი. ამ დროს დავინახე თვითონ მუსტაფა და ვკითხე: ეს ჩვენი ყვაფი ხომ არ არი მეთქი. და აი იმან მითხრა, რომ ეს ყვაფი დიდი ხანია მან იპოვა, ბარტყი იყო, მისმა პატარა შვილმა სელიმმა გამოზარდა. ხოლო შარშან მეორღანემ მოგვპარა და შორს სადღაც წაიყვანაო.



პატარა სელიმის ყვავი

ახლა ამ მეორდანემ რომ ყვავი ისევ ამ ნაცნობ ადგილებში მოიყვანა—ეტყობა ამან იცნო თავისი აღრინდელი ბინა და აღრინდელი პატრონი.—დაიხურე შენი შლიაპა, შეილო, უთხრა დედამ და წავიდეთ—ვნახოთ სელიმი და მისი ყვავი.

ოლღამ ხმა ამოუღებლივ დაიხურა შლიაპა და გაჰყვა დედას.

ყმაწვილი მისდევდა თავ ჩალუნულში. რცხვენოდა და თან ნალვლობდა: რცხვენოდა იმიტომ. რომ ყვავის მოვლას თავი ვერ დაუდო, ნალვლობდა იმიტომ, რომ ენატრებოდა ფრინველი. სელიმს ნამდვილად ჰყვარებია ყვავი, რომ ფრინველმა არ დაივიწყა ყმაწვილი წლის განმავლობაში. როდესაც დედა-შვილი მიუახლოვდნენ მუსტაფას ეზოს ნახეს რომ სახლის კარებს წინ არც თუ იჯდა, არც თუ წამოწოლილი იყო ფერ მკრთალი ავადმყოფი ყმაწვილი სელიმი და ხორცს უწვდიდა ყვავს, ფრინველი მის გვერდით დახტოდა და ნდობით შესცქეროდა. იქვე ახლოს იდგა სელიმის დედა და აღერსით და სიყვარულით შესცქეროდა ავადმყოფ შვილს, რომელიც ამ წუთას სრული ბედნიერი და ჰმაყოფილი იყო. ოღლა უცბათ ჩაეკრა დედას მკერდში და მოჰყვა ტირილს.

— რა გატირებს, ჩემო გოგონავ, ჰკითხა აღერსით დედამ.

— მინდა რომ ეს ყვავი ისევ ჩემი იყოს, თქვა ქვითინით ოლღამ.

— ჩემო გოგონავ, უთხრა დამშვიდებით დედამ, და ხუჭუქ თმაზე ხელი გადუსვა.— შეხედე სელიმს, მაგ ავათმყოფ ყმაწვილს, მაგან ძლივ იბოვა თავისი საყვარელი ყვავი. შენ კი არაფრათ ავდებდი, ყურს არც კი უგდებდი. დახე, დახე, ორივენი რა ბედნიერათ გრძნობენ თავს.

ოლღამ თავის ნამტირალევი თვალები მალლა აიღო და ნახა რომ ყვავი ყმაწვილს მხარზე უჯდა და სელიმის თმებზე ნისკარტს იწმენდდა- ყმაწვილი ნეტარებით უღიმოდა. ოღლა-შაც გაიღიმა.

— დეე სელიმთან დარჩეს ყვავი, თქვა მან მორჩილათ, მე მოვალ ხოლმე მასთან სტუმრათ.

ამ დღიდან ოღლა თავისი დედით ხშირათ დაიარებოდა



ჭკუილი

მუსტაფას ეზოში და სელიმთან ერთად უხაროდა ქვიანო ყვავის ეშმაკობა.

სელიმი დღეიდან სრულ ბედნიერად სთვლიდა თავის თავს რომ ყვავი გვერდით ჰყავდა.

(თარგმანი)

ან. წერეთლისა



ვერცხლა თევზი.

(ზღაპარი ბულგაკოვისა)



ღვის სიღრმიდან გამოვიდა ვეებერთელა თევზის ფარავანი. თევზები მეტათ პატარეები იყვნენ და თანაც ყველანი ერთი მეორეს წააგავდნენ. მაგრამ ის თევზი, რომელზედაც მინდა ვიამბოთ, განირჩეოდა სხვა თევზებისგან საშინელის ცნო-

ბის მოყვარეობით და სიმკვირცხლით. „რა ბედნიერები ვართ“, ამბობდა ერთი თევზი. რამთონი ჭილი და კიდევ სხვა პატარა არსებაა ჩვენ და გამოსაკვებად ამ ზღვის ძირში. ყველა ეს ხომ ჩვენ გვეკუთვნის!

— რა სულელი ხარ! უთხრა უფროსმა თევზმა „ცუგამ“, რო გაიგონა ამ პატარას ტიტინი.—ეს რო მართლა სულ ჩვენი იყოს, ხომ ბედნიერები ვიქნებოდით. მიიხედ-მოიხედე კარგა და მაშინ დარწმუნდები, რო სასიხარულო არა გვაქვს რა!—


ამ თევზმაც ჩაიხედა ზღვის სიღრმეში; ხავსიან ქვებზე ამოსულიყო რუხვი, წითელი და ვერცხლის ფერი ჭილი. ამ სქელ დაბურულ ბალახში ცხოვრება დულდა და გადმოდიოდა; აქ მიმოცურავდნენ სხვა და სხვა ნაირი თევზები. კობოები ლოკოკინებით სწრაფად გადადიოდნენ ერთი ქვიდან მეორეზე ფეხების ჩხაკუნით. აქვე მიდი-მოდდიოდნენ რალაცა მწვანე წერტილებივით.

— ეს რა არის? ჰკითხა ჩვენმა თევზმა. ამავე დროს დაინახა; რო ამისაკენ მოეშურებოდა უშველგებელი ფარავანი ვერცხლის ფერი „კეფალისა“.



ერთმა დარბაისელმა თევზმა გაიგონა ეს გულუბრყვილო კითხვა და უპასუხა: «აი შე სულელი, განა არ იცი, რომ ეს მზე გვაფენს თავის მწვანე და ბქყვრიალა სხივებს!»

— „მზეო!? წამოიძახა განცვიფრებულმა ვერცხლა-თევზმა. — „მზე რაღა არის?“ მაგრამ ამ კითხვაზე ველარაინ ვერ უპასუხა. ამის შემდგომ ჩვენი პატარა თევზის უპირველესი სურვილი იყო მზის დანახვა. მაგრამ ამ წუთში მზის ჯაფრი აღარ ჰქონდა. როდესაც დიდი თევზები გაუდგნენ გზას, ჩვენმა ვერცხლა თევზმა დაინახა, რომ მათთან ერთად გაჰქრა რამთონიმე იმისი დაც. „მართალს ამბობდა ის დარბაისელი თევზი, რომ სასიხარულო არა გვაქვს რაო“, გაიფიქრა დალონებულმა ვერცხლა თევზმა.



ამასობაში დრო გადიოდა. ზღვის ძირში ხომ შეუძნებლად გარბის დრო. იქ დღეებს არავინა სთვლის, კალენდრის ფურცლებს არავინა ჰგლეჯს, როგორც ჩვენ, ადამიანები ჩავდივართ. ჩვენი თევზი თან-და-თან ვითარდებოდა და ამასთან ერთად იზრდებოდნენ ამისი დებიც. მაგრამ მათი ჯგუფი მეტათ შემცირდა. დღითი დღე მუსრს ავლებდნენ აუარებელ ახალ გამოჩევილ თევზებს მსუნაგი ქიქყინა და სხვა დიდი თევზები.

ჩვენმა ვერცხლა თევზამ ურჩია თავის დებს ნაპირისკენ გაეწიათ, რადგან იქ უფრო მშვიდობიანობა იყო. აქ არ

ხედებოდნენ იმისთანა დიდრონს და მტაცებელ თევზებს. ამასთან ნაპირის ქვებში მოსჩანდნენ ნაპრალები, სადაც შშვენითაა შეიძლებოდა დამალვა.

— „შეხედეთ დებო“, — წამოიძახა ჩვენმა ცნობის მოყვარე ვერცხლა თევზმა. — ეს ვინ გვიყურებს ასეთის დიდრონის მკაცრი თვალებით?

ერთ ვიწრო ნაპრალში იჯდა რაღაცა უშველებელი, რომელიც დაუსვენებლივ ამუშავებდა თავის ყბებს და თან წინა ფეხებით წყალს თავისკენ ეზიდევოდა.

— ეს ბოროტი ქაჯია, ზღვის „კრაბი“, (краб) სთქვა ერთმა დამ, მაგრამ ამის თქმა ვერც კი მოასწრო, რომ წყლის ტალღამ ქაჯის ყბებისკენ გასტყორცნა.

შეშინებული, დაობლებული ფარავანი სწრაფათ გამობრუნდა უკან, მაგრამ აქაც ისეთივე ქაჯი დახვდათ.

აქ თვითონ ჩვენი თევზი მოექცა ქაჯის ყბებში. მაგრამ ამ უამად ქაჯის ყბები ისეთი საშინელი აღარ იყვნენ, რადგან „კრაბი“ ამ დროს კანს იცვლიდა და მეტის მეტი დასუსტებული იყო. იმის ზურგზედ, ახალგაზრდა ჩაჩქანზედ ერქო გადმოწოლილი ჩაჩქანი, როგორც ძველი უვარგისი ნაქუჭი: „ჩვენ აქ ბოროტ ქაჯების სამფლობელოში ჩავცვივდით“? კითხულობდა ჩვენი თევზი.

— მაშა, მაშა, ეს „კრაბების სამფლობელოა, ჩემი პატივცემულ ნათესაობისა. უპასუხა ჩვენ თევზს პატარა საცოდავმა არსებამ. მართლაც ამასაც ჰქონდა ორი ფეხი, ამასთან ერთი დიდი იყო მეორეზე, ჰქონდა აგრეთვე ყურები და დიდრონი თვალები. მაგრამ რა საცოდავი რამ იყო ის, რომელიც თავის თავს კრაბების ნათესავს უწოდებდა. ამასთან ისეთი პატარა იყო, რომ არც ერთ თევზს არ შეაშინებდა. იმისი ტიტველა მუცელი ისე ლასლასებდა გეგონებოდათ ალავი დაჰკარგვია და ეძებსო. მართლაც, იგი თავშესაფარს ეძებდა. ეს იყო კიბო, რომელიც ცდილობდა თავის შესაფერი ლოკოკინა ეშოვნა და დაემალა თავისი ტიტველა მუცელი.

— „ღმერთო ჩემო, დრო არა მაქვს, სრულებით არა მაქვს დრო, ამბობდა შეწუხებული კიბო ღ თან მიეშურებოდა ლოკო-



კინის საძებნელათ. თქვენ კრაბების სამფლობელოში ხართ, კრაბები კი ჩემი ნათესავები არიან. — მაგრამ რაა მერე? განა ამიტომ უფრო ადვილათ ვიშოვნე ქობს ჩემ საცოდავ ტიტველ მუცლისთვის? გასწით თქვენთვის, მე თქვენ მიშლით, თქვე უსაქმურებო!»



ამ სიტყვებზე ვერცხლა თევზი შეკრთა და გაცურდა; მთელი ჯგუფიც უკან გაჰყვა. ნათელი დილა იყო. მზის სხივები ათბობდნენ წყალს და თევზებიც მზიარულათ იყვნენ.

— მაინც და მაინც ცხოვრება კარგია! ამბობდა ვერცხლა თევზი. მაგრამ უფრო კარკი იქნებოდა, რომ მზე დამე ნახა! —

— აი მზე! — სთქვა ერთმა დამა და გაინაგარდა მზის სხივებისაკენ.

«მაშ მზე ერთი არ არის, რამთონიმეა?» გაკვირვებული კითხულობდა ცნობის მოყვარე თევზუნია.

— მზე ერთია, ხოლო სხივები აქვს ბევრი, — მიუგო დამ.

ამ დროს თევზის ფარავანი კოდესთან მოცურდა და ჩვენმა თევზმა დაინახა წყლის ქვეშ შვენიერი ყვავილი. ამ ყვავილის მრგვალი და რუხვი ღერო შემოხლულდული ლურჯ ზოლით იყო ამოფენილი სხივებივით მრავალი თათებით, რო-



მელნიკ ჰკითხოდა, ქანაობდნენ, თითქოს წყლის ნაკადუ-
 ლებს იკვირონო.

— მაშ ეს არის მზე? აღტაცებით წამოიძახა ვერცხლა
 თევზმა. მაგრამ ეს პალე სანანებლოა დაურჩა. უცბათ ამ
 სუსტმა თაბებმა გასტყორცნეს ერთს გაუფრთხილებელ თევ-
 ზისკენ აუარებელი უჩინარი შხამიანი ძაფები, თევზიც მოშ-
 ხამული და გაბრუებული ჩავარდა გაუმაძღარ ზღვის „აკტი-
 ნიას პირში“. შხამიანმა თევზმა საკვები რომ ხელში იგდო
 დამალა თავისი ცბიერი თათები და ბურთივით შეიკუმშა.

— რა თვალთმაქცობაა! — ამოიოხრა დაღონებულმა თევ-
 ზუნამ — მე მზე მეგონა და ეს კი თურმე გაუმაძღარი ვეშაპი
 ყოფილა.

შეეშინდათ თევზებს ამ ვერაგულ კლდესთან, სადაც
 ყველა ნაპრალიდან გამოიყურებოდნენ ბოროტი და მტაცე-
 ბელი „კრაბები“ და „აკტინიები“. შეეშინებული და ძალზედ
 შემეცირებული თევზის ფარავანი გაეშურა ზღვის სიღრმისკენ.

ხიფათის თავიდან ასაცდენათ თევზები სულ შორს, სი-
 ღრმისაკენ მიეშურებოდნენ. თუმცა ყოველ დღიურ ლუკმა-
 ზედ ზრუნვა მეტათ აწუხებდა ვერცხლა თევზს, მაგრამ იგი
 შინც ეხლა მხოლოთ მზეზე ფიქრობდა და იმისი უპირველე-
 სი სურვილიც მზის დანახვა იყო.

რომ დაღამდებოდა თევზები ხავსში ჩაიფლებოდნენ ხოლ-
 მე დასაძინებლათ. გათენდებოდა და ზღვის ფსკერშიც სუ-
 ყველაფერი იღვიძებდა. დაცოცხლდებოდნენ ხოლმე ურიცხვი
 პატარა არსებანი, რომლებითაც საზრდოობდნენ ჩვენი თევ-
 ზები. ნახად ირხეოდნენ მზის სხივების ამბორით გამოცოცხ-
 ლებული ქილი.

— თუ მზის სხივები ასეთი კაშკაშა არიან, თვითონ მზე
 როგორილა უნდა იყოს! აღტაცებით ფიქრობდა ვერცხლა
 თევზუნია. ერთხელ მოეჩვენა ჩვენ თევზს, ვითომ მზე დაინახ-
 ხა. უშველებელი, მრავალი და გამჭვირვალე მზე ამისაკენ
 ჩამოეშვა. წყლით სავსე უშველებელ ქოლგიდან ძირს ჩამო-
 შვებულყო ნიჩბის ტარებივით ოთხი ფეხი, რომელნიც წყალს
 აღელვებდნენ. ამ ქოლგის ნაპირებიდან აუარებელი წამწამე-



ბი ჩამოშვებულოყვენ, ხოლო წამწამთა შორის ძლიეს-ლა მოჩანდნენ ურიცხვი თვალები და ყურები. რა მშვენიერი და მომხიბლავი რამ იყო მრავალ თვალებიანი ცისფერი მზე!

უცბათ ჩვენმა თევზმა იგრძნო, რომ ღონიერ ჭევლს მიაქვს „მზისაკენ“, მაგრამ იმისი დები წინ მიდიოდნენ და ერთი მათგანი კიდევაც გაჰქრა „მზის“ ფეხებ შუა.

— ეს რასა ნიშნავს?— წამოიძახა განცვიფრებულმა თევზუნიაძე, — „მზემ“ ჩაყლაპა ჩემი და! ბედნიერებაა ესა, თუ უბედურობა?

— აი შე სულელო! მოისმა დამცინავი ხმა, რასაკვირველია უბედურობაა და დიდი უბედურობაცაა, რადგან შენი დისაგან ხოლო ძვლები ლა დარჩება.


ეს სრულებითაც არ არის მზე, — ეს ბოროტი თვალთმაქცი «მედუზა» არის, რომელიც ყველას ჰხიბლავს თავისი მშვენიერი შეხედულობით. მაგრამ ისეთივე გაუმაძღარია, როგორც არის „აკტინია“. იმასაც ისეთივე უხილავი შხამიანი ძაფები აქვს, რომლითაც იგი თავის მსხვერპლს გააბრუებს ხოლმე.

ასე ლაპარაკობდა აღტაცებული „კრევეტკა“, რომელიც ვადურჩა „მედუზას“. მსუბუქი და ჰაეროვანი, როგორც ზღვის ფერია, კრევეტკა შემოსილია მსუბუქ და გამჭვირვალე აბჯართ და ამასთან თუმცა წინა ფეხები მაკრატლისავითა ჰქონდა და რამთონიმე ყბაც, მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ ეს ნათესავი იყო ბოროტ გრძნეულისა, რომელიც სწრაფათ და გვერდ გვერდ ხტუნაობდა ერთ ქვიდან მეორეზე და თან ათვალთვალავდა, ეგება რამე შესაქმელი დავინახოვო!

სიცოცხლე გამწარებულ თევზს აღარა ჰქონდა რა სასიხარულო. კარგათ იცოდა რომ ბნელს ნაბრალეებში სცხოვრობდნენ ბოროტი და ხარბი გრძნეულნი კრაბები, რომ მომხიბლავი მედუზა იყო ცბიერი გრძნეული, ხოლო მშვენიერი აკტინიები კი იმიტომ ასანსალებდნენ ურიცხვ ფეხებს, რომ მიეზიდნათ მსხვერპლი.

მაგრამ მზის ნახვის ღირსი ვერ გახდა ჩვენი თევზი და ვინ იცის კადფე როდის ნახავდა!

უცბათ რალაცა ხმაურობამ შესწავიტა ვერცხლა—თევზის ნაღვლიანი ფიქრები. რალაცა შავი და უშველგებელი დაცურავდა წყლის ზედა პირზე. მოისმოდა აღამიანების ხმა. ამ დროს ზემოდან ძირს ჩამოვარდა რალაცა არა ჩვეულებრივი



არსება. იგი ჩქარა მოფრინავდა, ჩამოვარდა, დაეცა ძირს და ნახევრამდინ ზღვის ქვიშაში ჩაიფლო და იქ გაშალა თავისი ოქროს ფერი თმები. რა ალიაქოთი შეუდგათ ზღვის მცხოვრებლებს! თევზები შემოეხვიენენ აქამდი უნახავ არსებას და დაუწყეს აქეთ იქიდან ჯგვლენა ცხვირებით: დარწმუნებულე-



ბი იყვნენ, რომ ეს რაღაცა ახალი გემრიელი რამ უნდა ყოფილიყო, მაგრამ იმედები გაუტრუვდათ!

ის რაც ჩამოვარდა თევზების საკბილო არ იყო. იმის არა ჰქონდა არც გემო, არც სუნი. გაუმძღარი კრაბებიც კი, რომლებიც სუყველაფერს სჭამენ — ჭიებსა, ოსტრაკუსა, თევზსა და თვითონ თავის ძმასაც კი კრაბსა, გულდაწყვეტილნი მოშორდნენ. ხოლო ჩვენმა გულბრყვილო თევზმა წარმოიდგინა რომ ვითომ მზემ გამოუგზავნა თავისი სხივები და გაება ჩამოვარდნილ არსების ოქროს თმებში...

ამ დროს წყლის ზემოდან მოისმოდა ბავშვის ხმა: „დედა, გენაცვალე, უბრძანე წყალში მოყურყურავენბლებს, რომ ჩემი დედოფილი ამომიღონ! ის ხიამ სულ ახალია დედა!“ ტიროდა ბავშვი.

— ვიცი რომ სრულებით ახალია! მოისმა გაჯავრებული ხმა და იმიტომაც გირჩევდი არ წამოგეღო. მაგრამ შენ ყოველთვის შენი უნდა გაიყვანო, შე გაუგონარო გოგო! საიდან მოგიყვანო ეხლა მოყურყურავენბლები? აქ არ არიან ეხლა! — ქალბატონო, ჩვენა გვაქვს ბაღე მოისმა მესამე ხმა კაცისა. — „ჩაუშვებთ ბაღეს ეგება ქვიშას ამოჰყვეს პატარა ქალის ტიკინი. ჩაშვებული „დრუა“ მძიმეთ დაეშვა ძირში, გაექანა ზღვის ქვიშაზე და წამოხვეტა ქვები, ლოკოკინები, ხავსი და სხვა რაც კი მოხვდა. წამოიღო დედოფალა და მასთან ერთად თმებში გაბმული ვერცხლის ფერი თევზი. როდესაც ბაღედან გამოყარეს სუყველაფერი, ვაკვირვებას და აღტაცებულ ყვირილს ბოლო არა ჰქონდა: „დედა, შეხედე რა მდგომარეობაშია ჩემი დედოფალი,“ ყვიროდა ბავშვი. — „მაგრამ სამაგიეროდ რამთონი ლოკოკინებია, მერე სულ ცოცხლები არიან. დედა, ეს რაღას გამოუყვია ლოკოკინიდან ასეთი საშინელი ფეხი? დედა, აი კრაბიც, მერე რამთონია! შენ გენაცვალე, დედა, ვერცხლის თევზი, ცოცხალია და გვერდებზე ცისფერი წინწყლები აქვს. რა მძიმეთ სუნთქავს! საწყალი თევზი, მაგას ხომ არ შეუძლიან ჩვენი ჰაერით სუნთქვა!... ამას წყალი უნდა! გრიგოლ, მოიტა ჩქარა ერთი ჩაფი წყალი. საცრდავი თევზი, რა ძნელია ამისთვის უწყლობა!“



მართლაც ცუდ მდგომარეობაში იყო ჩვენი პატარა სა-
ცოდავი თევზი: პირი დაელო, ფარი, რომელიც ლაყუჩებს
მფარავს, მიძიმეთ აღიოდ-დადიოდა. წითელი ლაყუჩები ძველ
ჩერებსავით ჩამოშკიდებოდა. ჩაუშვეს თუ არა ზღვის წყლით
საყვარელ ჩაფში, ჩვენმა თევზმა თავისუფლათ ამოისუნთქა. იქვე
ჩაყარეს ხავსი, ქვეები, რომლებზედაც ლოკოკინები იყვნენ
დაკრობილი, რამთონიმე კრები, კიბო და სხვა, პატარა ქალი
გენია დაბრუნდა თუ არა სახლში, გადმოიღო ჩაფიდან რაც
რომ იყო შიგა შუშის ქილაში და ჩაასხა ზღვის წყალი.

პირველი დღეები კარგა გრძნობდა თავის თავს ჩვენი
ვერცხლა-თევზა, თუმცა ამასთან ქილაში ერთათ იყვნენ კრა-
ბებიც, გაუმაძლარი აქტინიებიც, მაგრამ ჩვენი ვერცხლ-თევზა
ფხლა დიდი შეიქნა და ისე არავისი არ ეშინოდა: მხიარულათ
დაცურავდა ქილაში კუდის ქნევით. ერთი რამ აწუხებდა ხო-
ლოთ ჩვენ ვერცხლა თევზას. დრუბლიანი დღეები იყო და მზე
არა სჩანდა. პირველ ხანს გულმოდგინეთ უვლიდა ეენია თა-
ვის „აკვარიუმს“,*) ყოველ დღე უცვლიდა წყალს, ხან და
ხან საათობით იღვა ხოლმე აკვარიუმთან და თვალ ყურს ადგ-
ვებდა ზღვის მცხოვრებლების ყოფა ცხოვრებას.

„დედა, ყველაზე ძალიან ჩემი ვერცხლა თევზი მიყვარს!
ამბობდა პატარა ქალი აღტაცებით.

როგორც ეტყობა ეს სიყვარული ხან მოკლე გამოდგა,
რადგან ეენია ისე ხშირათ აღარ უცვლიდა წყალს.

აკვარიუმის მცხოვრებლები ძალიან ჯავრობდნენ. მათი
რიცხვი თან და თან მცირდებოდა, მაგრამ ეენია არ ამჩნევ-
და ბევრის დაღუპვას, რადგან ზოგ-ზოგი მათგანი ისე პატარა
იყვნენ, რო არც კი სჩანდნენ. აქ იყვნენ ახლათ გამოჩეკილი
კრებები, ახლგაზრდა თევზები, როგორიც იყო ერთხელ ჩვე-
ნი ვერცხლა თევზა.

ყველა ესენი საჭირო იყვნენ დიდების გამოსაკვებათ.

„საქმელი არა მაქვს რა“, ჩიოდა „სავარცხელა“, იმი-
ტომ რომ ჩემი საქმელი ქილია,

*) თევზებისათვის მოწყობილი შუშის ჭურჭელი.



აქ კი ქილი დლითი დღე ჰქნება.“ „არც მე მაქვს სა-
ქმელი.“ ამბობდა უკმაყოფილო აკტინია, რომელიც ცდი-
ლობდა გაეხვია თავის შხამიან ბეწვებში გარეული „რქა“ შა-
გრამ „რქა“ ხარბათ მივარდა „ლამბაქს“, რომელიც ისე იყო
დასუსტებული, რო ძლივს და იჯდა ქვაზედა და დაუწყო
ფრეტა თავის ცხვირით „ლამბაქის“ ლოკოკინას რომ იგი გა-
მოეწუწუნა.


ჩვენი ვერცხლა თევზიც დლითი დღე სუსტდებოდა, მაგ-
რამ არ იცოდა რისგან მოსდის ესა—შიმშილისაგან, თუ მზის
უნახაობით. ძლივს და თანთხალობდა.

ერთ მშვენიერ დღეს გამოვიდა მზე და გადაავლო თავისი
სხივები აკვარიუმის მცხოვრებლებს. „აი ეს არის მზე!“ გაი-
ფიქრა ვერცხლა თევზმა ერთი ისკუპა და გადმოხტა იატაკზე.

მზე სწვავდა მას, ხოლო თევზი გრძნობდა რო მზის ამ-
ბორთან ერთათ მას სული ეღეოდა. მოცვივდნენ საჩქაროთ
დედა და პატარა ჟენია და განცვიფრებულნი დასცქეროდნენ
მომაკედავ თევზს. ჟენია ტიროდა: ამას ეგონა უწყლობისაგან
კვდებო. სულელს არ ესმოდა, რო ძლივს ვერცხლა თევზს
აუსრულდა ნატვრა: მზე დაინახა და კიდევაც სული დალია.

მარიამ იაშვილი.


(თარგმანი).





პოეტი შილლერის სიემაწვილე.

(დასასრული).



ფრიდრიხი წამოჯდა ლოჯინში, მიიხედ მოიხედა. გარშემო ბნელოდა და სიჩუმე სუფევდა. ადგომა ჯერ აღრე იყო. ყმაწვილი თვალებ ახდილი იწვა და ოცნებობდა. „უნდა შევთხზა, საჩენი რამე დავწერო და სახელი გავითქვა, ბუტბუტებდა და თან ქვეშაგებში ტრიალებდა. „მე გასართობ ბალოდას კი არ დავწერ, არა, ისეთ რასმე დავწერ, რომ ყველა ავატირო, ავაქეთინო. მაგალითად ჩემი გმირი წავა ბედის საძებნელათ და როდესაც ბევრი ხეტიალით დაღლილი დაბრუნდება, საცოლე მონასტერში შესუ-

სული დაუხვდება... ეს ხომ ძველი ამბავია, მგონი სადღაც წაკითხულიც მაქვს! მაშ სხვანაირად უნდა დავწერო, მოდი გმირი თვითონ შევიდეს მონასტერში.... ამაშიაც ხომ ახალი არაფერიაო... და მაგ გვარი რამე ბევრი წაკითხულიცა მაქვს... ასეც შეიძლება დავწერო—ორივენი განშორებულნი არიან. უცბათ ბოლოს დროს მონასტერში ერთმანეთს შეხვდებიან... ეს ამბავი ხომ უფრო ძველათ ძველია.

ერთბაშათ ყმაწვილს თავში გაუელვა ახალმა აზრმა: მოდი გამოვიყვან ერთ გამოჩენილ კაცს, რომელიც სიღარიბეში დაბადებული იყო და ცხოვრებაც უბრალო მოელოდა. მაგრამ თავისი ღირსებების გამო ისე ამაღლდა, რომ დიდება მოეღოს. ის დაუღალავათ იშრომებს, ბრძოლით, თითქოს ეს ეს არი მიზანს მიაღწევს, მისი იმედები უნდა ასრულდეს და შრომის ჯილდო ეს არის ახლავე უნდა მიიღოს—მაგრამ უცბათ გაედვიძება, იგრძნობს რომ ეს სიზმარია. დიდება



მასგან ისე შორს არის, როგორც ცა ვარსკვლავებით მოქცეული.

ამნაირ ბაღლადას კი იმედია უსათუოდ დასწერს.

V.

მეორე დღეს ფრიდრიხი დილა ადრიანათ შეეარდა წიგნის მაღაზიაში. მაღაზიის პატრონს ძალიან გაუკვირდა და სიცილით ჰკითხა:

— რა დაგეშართა ბავშო?

— ქალაქი მიბოძეთ რაც შეიძლება ბლიზათ. ამ ერთ კვირაში მოვალ წიგნების გადარჩევას გიშველით. ახლა კი მჩქარება, ძალიან ბევრი საქმე მაქვს.

— შენი სახე ისეთივე თეთრია, როგორც ეს ქალაქი, რომელსაც დიდი სიამოვნებით გაძლევ. შენ, მგონია, მწერალი გამოხვალ, მაგრამ, ჩემო ფრიდრიხ, ძალიან მოუფიქრებელი და დაუცხრომელი ხარ. რაც აქ შემოხვედი თაროდან სამი წიგნი ჩამოაგდე და სკამიც გადამიბრუნე. დამშვიდდი, ჩემო შვილო;

ყმაწვილმა საჩქაროთ მიიბრინა სახლში. სამი დღის განმავლობაში რაღაც ბურანში იყო, თითონაც არ იცოდა რას ჩადიოდა. თავს აქეთ-იქით აწყვეტდა, სასწავლებელშიაც პასუხს უადგილოთ და უხერხულოთ აძლევდა — და თუ ცუდ ნიშანს არ უსვამდენ, ხოლო იმიტომ, რომ წინეთ კარგათ სწავლობდა. ნიკოლოზობამდის ერთი დღეა დარჩენილი იყო. წინა დღით ფრიდრიხმა თავის თავს სიტყვა მისცა, რომ ამ დამეს უსათუოდ გაათავებს ბაღლადას.

საღამოზე მიიმალა კამოდის უკან და დიდი აღტაცებით დაიწყო წერა; იმოდენა ხანს სწერდა, სანამ გულის ძგერა არ აუვარდა და თავი არ ატკივდა.

ერთბაშათ დედას მოაგონდა რომ შვილი დაწოლის წინეთ არ გამოხალმებია და დაუწყო ძებნა, გამოიყვანა სამალელიდან, გადაკოცნა და გაგზავნა დასაძინებლათ.

ფრიდრიხმა აიღო სანთელი და შევიდა თავის საწოლო ოთახში, მის დას, კრისტოფინას, ბედზე დაეძინა კიდევ, ამაწ



პოეტი შილლერის სიყმაწვილე

სანთელი არ გააქრო, აიღო ქალღმერთი და მოჰყვა წერას, ასე გასტანა ერთ საათს, ბოლოს გაათავა ბალოდა, უნდა ხოლოდ გადაეწერა. რომ მეზღაპრეს ხმა მალლა წაეკითხა. გადაწერა ძალიან ძნელი გამოდგა. ღამე როცა ხან სციოდა და ხან სცხელოდა და საშინლათ აღელვებული იყო—უნდა უკვე დაწერილი სუფთად გადაეწერა. მაგრამ ამ სიძნელესაც გაუძლო, გათენებამდის მოასწრო გადაწერა, ხელების კანკალით მოაგროვა ფურცლები და ბალიშს ქვეშ ამოსდო.

მერე წამოჯდა ქვეშაგებზე და მიიხედ—მოიხედა თენდებოდა—ის იჯდა და ცახცახებდა, ეშინოდა დაწოლისა, ეშინოდა სანთლის გაქრობისა—და ამ ოდნავ ბეუტავი სანთლისაგან ოთახი უფრო იღუმალათ მოჩანდა. ყმაწვილს აქეთ-იქით მიხედვა ეშინოდა, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ იქ არავინ არის—ის მცირე ხმაურობაზე ცახცახებდა, ეგონა ეს ეს არი რამე დამემართებაო. განა კარგათ არ იცოდა, რომ მხოლოდ თაგვებს გააქვთ ფხაქანი?

ერთბაშათ ფანჯარა განათდა, მოისმა მწყობრივი სიმღერა—სტუდენტები საიდანღაც ბრუნდებოდნენ მაშხალებით და სიმღერით, სანთელმა ერთი კიდევ გამოაშუქა და უცბათ ჩაჰქრა—ფრიდრიხმა ველარ გაუძლო სიბნელეს, მარტობას და სიჩუმეს. წამოვარდა ქვეშაგებიდან, მივარდა კარებს, სამზარეულოდან ცოტათი მოჩანოა სინათლე, კიბის საფეხურზე ჩამოჯდა ჩუმათ რომ არავის დაენახა.—დაღლილი, უკმაყოფილო იჯდა ასე კარგა ხანს, სანამ არ მოესმა ფეხის ხმა, მაშინ კი საჩქაროთ წამოხტა და ქვეშაგებში, საბან ქვეშ ამოიმალა.

კარი გაიღო, შემოვიდა დედა კალათით ხელში. ფრიდრიხმა დაინახა, როგორ დგდა მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც მისი და მისი დის ფეხსაცმელები იყო გამოფენილი. როგორ მის დის ფეხსაცმელებში აუარება ტკბილეულობა ჩააწყო და მერე მის ფეხსაცმელთან შედგა—ყმაწვილმა თავი მალლა აიღო, ხელი გულზე მიიღო, სახე სირცხვილით გაუწითლდა. ის გრძნობდა, რომ მთელი წლის განმავლობაში



და მეტადრე ბაღლაღის დაწერის დროს, საძაგლათ იქცეოდა, არავის უჯერებდა, მაგრამ ნუ თუ დედა გამოიმეტებს და „როზგს“ ჩაუღებს ფეხსაცმელში? ყველაფერს აიტანდა, მაგრამ ამ სირცხვილს კი ვერა. დედა დიდ ხანს რაღასაც ეძებდა კალათაში, ბოლოს როგორც იყო, ამოიღო, მაგრამ ეს როზგი კი არა სხვა რაღაც იყო ქალაღღში გახვეული—ეს მისი საყვარელი ტკბილი კვერი და სხვა ტკბილეულობაა, დედამ ფეხსაცმელები ამავებით აავსო და ისე წავიდა.

— დედილო, დედილო, რა მადლობელი ვარ ამ ტკბილეულობისთვის, მაგრამ ღირსი არა ვარ.

ამ დღემ ყველასთვის მხიარულათ ჩაიარა. საღამო დაღვა. ფრიდრიხის მამა სტუმრათ სხვაგან წავიდა. ყმაწვილებმა თავი მოიყარეს და მოუთმენლათ ელოდენ გაეგონათ ფრიდრიხის დაპირებული ბაღლაღა.

ყმაწვილს არ უნდოდა თითონ წაეკითხა. სთხოვეს კრისტოფინეს. ისიც მორთულ მესღაპრის ტანისამოსით დაჯდა შუა ადგილას. ფრიდრიხმა მიაწოდა დას დაწერილი ფურცლები და თითონაც იქვე ჩამოჯდა, მაგრამ ისეთი ფერ მიხდილი და ტანჯული სახის გამოიმეტყველება ჰქონდა, თითქოს სასიკვდილოთ მომზადებულიყო. დამ გადახედა ხელთ ნაწერს და ჰკითხა: მართლა შენი შეთხზულია ესაო... ძმამ თავი დაუქნია. მესღაპრემ დაიწყო კითხვა.

ყმაწვილ პოეტს მშვენივრად გამოეყვანა ლექსთა წყობა, ერთი ან მეტი და ან ნაკლები მარცვალი არ იყო. ისე მწყობრათ დაწერილი იყო. მეტადრე როდესაც აწერილი იყო როგორ მოჰყვებოდა გმირი შრომას და მუყაითათ მუშაობას და თან და თან იჩენდა თავს—ყმაწვილებმა ერთბაშად ტაში დაჰკრეს და გამოაცხადეს, რომ ეს გმირი სწორეთ ფრიდრიხს მიეგვანებაო.

როდესაც გმირი აღფრთოვანებული, სრული ბედნიერი იყო და ყველა მსმენელი გახარებული იყვენ მისი გამარჯვებით—თითონ შემახზავი სახეზე ხელ მიფარებული მწარეთ ტიროდა.

ყმაწვილი ისეთი აღელვებული იყო, რომ ვერც კი შეამჩნია, როგორ კრისტოფინა შედგა ერთ წუთას და მერე უფრო ხალისით განაგრძო კითხვა. არც ის გაიგო ფრიდრიხმა, როგორ მის შეუმჩნევლათ ოთახში შემოვიდა მისი მამა და ბურგომისტრი. (ქალაქის უფროსი), ისინი ამის სავარძლის უკან დადგნენ.

მეზღაპრე განაგრძობდა კითხვას. გმირმა დაჰკარგა უცაბედი ბედნიერება და ისევ ნამდვილ ცხოვრებას დაუბრუნდა. ის ლექსათ დასტიროდა თავის დაბადების უბედურ დღეებს, სიღარიბეს და შინაურ ოჯახის გარემოებას, რომელიც უშლიდა მას დიდების მოპოვებას. ბაღდადა გათავდა.

ფრიდრიხმა უცბათ გაიგონა სხვის ხმა, მოვიდა გონზე, ამ ხმამ ძალიან შეაშინა ყმაწვილი.

— ეს რა ამბავია, იკითხა მამამ.

ფრიდრიხმა დაინახა როგორ მისი და წამოდგა და უცნაური სახის გამომეტყველებით თქვა:

— ეს თხზულება ფრიდრიხის დაწერილია... ეგ ხომ ხოლო თერთმეტი წლისაა. და ხელი გაიშვირა ძმაზე.

მერე ბურგომისტრმა დაიწყო ლაპარაკი. ყმაწვილი გაბრუებული იჯდა, არაფერი არ ესმოდა. თითქოს შორს სადღაც იმყოფებო. მას ხოლო ბოლო სიტყვები მოესმა.

— დღეს მე შენთან აქ ბედზე მოველ, მეზობელო, ჩემთვის სწორეთ სირცხვილი იქნება, რომ ამისთანა ნიჭიერ ყმაწვილს არ ვუშველო გზის გაკვლევა. ამ დღეებში უნდა წავიდე შტუდგარდს, იქ უსათუოდ მომიხდება ღერცოდის ნახვა, რომელსაც აქვს ნიჭიერი ბავშვებისთვის გამართული აკადემია და ვუამბებ რის მნახველიც ვიყავი, ყველაფერს ვუამბებ დაწვრილებით თქვენ შვილზე. ღვთის მადლით იმედია, რომ ფრიდრიხს დავაბინავებთ მოსწავლეთ აკადემიაში. იქ მიიღებს უმაღლეს სწავლას და გახდება გამოჩენილი პოეტი.

— მეც რითაც შევიძლებ ხელს გავუმართავ. თქვენ, ბატონო, არ ვიცი როგორ გადაგიხადოთ მადლობა. იქნება ღმერთი შეგვეწიოს და ჩემმა შვილმა თავის ქალაქი ასახელოს.

— მე კი მგონია, თქვა ბურგომისტრმა, არა თუ თავის ქალაქს, მთელ თავის ქვეყანას ასახელებს.



ჭეჯილი

ყმაწვილს ეს სიტყვები მოესმა როგორც ანგელოზთა გუნდის გალობა და ოქროს ასოებით აღიბეჭდა მის თვალწინ. გონებაში მას ეს აღესახა და გულში ჩაებეჭდა.

უნდოდა წიგნიმდგარიყო ფეხზე და მადლობა გადებოდა ბურგომისტრისთვის, მაგრამ აღელვებით ვერც ფეხზე წამოდგა და ვერც ხმა ამოიღო. თვალ წინ აეფარა ბურუსი და ვერავის ვეღარ ხედავდა. ბოლოს გრძნობა დაჰკარგა.

გონებაში რომ მოვიდა თავის თავი ქვეშაგებში დაინახმ. დედა ადგა თავზე.

— მე ბედნიერი ვარ, დედა, მგონი ღერცოლი ამიყვანს. გაიძახოდა ყმაწვილი.

(თარგმანი)

ან. წერეთლისა.





ს ა რ ჩ ე ვ ი

1909 წლის ეუნდალ „ჯეჯილისა“.

პატარების განყოფილება.

ლექსები:

	№	გვერდი
ზამთარი, ლადო გეგეჭკორისა	I	3
აღდგომა, ლადო გეგეჭკორისა	III	3
შოშია, შ. მღვიმელისა	—	14
გაზაფხული, ლადო გეგეჭკორისა	IV	3
მაისი, ლადო გეგეჭკორისა	V	3
მწყემსი, ლადო გეგეჭკორისა	VI	3
ჩიტო, ლადო გეგეჭკორისა	VII—VIII	3
ნინია, გ. ქუჩიშვილისა	IX	3
შემოდგომის პირო, გ. ქუჩიშვილისა	X	3
გულნატკენი მურა, ნ. ზომლეთელისა	—	8
ტოროლა, გ. ქუჩიშვილისა	XI	3
მლოლდინი, შ. მღვიმელისა	XII	12
შობა, გ. ქუჩიშვილისა	—	3

მოთხრობები

(არიგინაღური და ნათარგმნი)

პროექტორზე როგორღა წავალ! ეკ. გაბაშვილისა	I	4
ქეთინოს სიზმარი, თარგმანი ანიკოსი	—	8
მაზრის მოსამართლე მიხეილო, როგორ გახდა ცხოველების მეგობარი. საშობაო მოთხრ. თარგ. ი. ფერაძისა	—	11
ვინ ვის აჯობა, ფეოდორე—დავიდოვისა. თარგმ. ან. წერეთლისა	—	16
სადილობა! (ფრანგულით) ტ სოსი	II	3
ილომ გაიმარჯვა, ტასოსი	—	5
ვანოს მურია, ივანე გომართელასა	—	6
ცოცხალი სათამაშო (თარგმანი) ალ. ფ—ასი	—	12
პატარა ვოლგეტა, გადმოღებული ეკ. გაბაშვილისა	—	28
მწყემსი—ძაღლი, (თარგმანი)	III	4
სანდრო და ზურა, ივ. გომართელისა	—	5
ჭებია-სეული, ეკ. გაბაშვილისა	—	23
ჭკვიანი თხები	IV	4
გამჭირაზი ფინია	—	5
მეგაზეთე ვასო, (რუსულით) ტ. ვეფხვაძესი	—	14
	V	20
ტოროლა	—	5
მოტყუებელი ლომი	—	6
მეგობართა ჩხუბი	VI	5
სანდროს გახუმრება	—	30
მამაკი ბავშვი (ფრანგულით) ალ.	VII—VIII	5 - ✓
ვასო მიხვდა, ლადო გეგეჭკორისა	—	16
როგორ უვლიდა ყმაწვილი თავის მამილოს, ამენისისა. (თარ-		



გმანი) ან. წერეთლისა	—	38
✓ მეგობარზე ზრუნვა, (ფრანგულიდან) ალ.	IX	4
მერცხალი და პაწია შაქრო, ლადო გვეგეჭკორისა	—	6
ელი რემ, ალ.	—	27
მოფიქრებული ცხენი, (თარგმანი)	X	4
პატარა ტუსაღები, (ფრანგულით) ტასოსი	—	5
✓ მისაბაძი საქციელი, ან.	—	22
გიგუცა და ყურძნის აკიდო, მღვდ. ბესარიონ ვაშაძისი	—	24
ღარბაისელი ბელურა, ტასოსი	XI	5
✓ გულკეთილი ექიმი, ლადო გვეგეჭკორისა	—	13
✓ მაწანწალა ბიჭები, ვიქტორ ჰიუგოსი, ტასოსი	—	20
«კამარინსკი», მოთხრობა ეკ. გაბაშვილისა	XII	5
დედის მკერდზე, მარიამ გარიყულისა	—	14
წრუწუნების ახალწელიწადი, ტასოსი	—	19
უღანაშაულოთ დასჯილი, ნ. ზომლეთელისა	--	22

ბუნების მეტყველებიდან.

რიკვი-ტიკვი-ტავი, კიპლინგის მოთხრობა, თარგმ. ელ. წერეთლისა	I	20
დედა-იხვის გაჭირვება, სეტონ-ტომსონისა, თარგმანი ელ. მამულაშვილი-ვასაძისა	—	17
საბრალო ზღვის კატა, თარგმანი ტასოსი	III	16
უცაბედი მოგზაურობა, თარგ. ანასტასია წერეთლისა	IV	7
როგორ დაიფარა ობობამ თავისი ქსელი, ტასოსი	—	24
ბელურას თავგადასავალი, ივანელისა	VI	9
პატარა გმირი—ლევკი ჩინკი, სეტონ—ტომსონისა. თარგმ. ელ. მამულაშვილი-ვასაძისა	—	17
პირუტყვთა მეფეები, ტასოსი	VII—VIII	20
უცნაური ბრძოლა (ყურავსკიდან)	—	48
გუგულის ამბავი, ივანელისა	IX	17
მაიმუნი კისი, თარგმანი ან. წერეთლისა	X	10
წყლის წვეთი	XI	4

იგავები, ზღაპრები ჩვენი და უცხოეთისა.

ღმერთი და მეფე, ნორდოსისა, სომხურით ყ. კ.—ნისა	III	20
მეფიჩხის ქალი, ზღაპარი, ჩაწ. აპ. ინაშვილის მიერ	IV	25
ჯადოსანი ნივთები, ზღაპარი ბებშტეინისა. თარგმ. ან. წერეთლისა	V	7
მელია და კურდღელი, ბებშტეინისა, თარგ. ტასოსი	VI	6
წუთი-სოფელი უმადურია, ბებშტეინის ზღაპარი, თარგ. ან. წერეთლისა	VII—VIII	7
ქოსა მეჩონჯურე, ინგილოური ზღაპარი, ჩაწერილი აპ. ინაშვილის მიერ	—	24
	IX	22
როგორ ისწავლა პატარა ყმაწვილმა ჯადოსნობა, ზღაპარი ბებშტეინისა, თარგმ. ან. წერეთლისა	—	10
ბერი-კაცი, ინგილოური ზღაპარი, ჩაწერილი აპ. ინაშვილის მიერ	X	14



ტახი, ჩინური ზღაპარი, თარგ. ეკ. მესხისა XI

ბიოგრაფია, მოგზაურობა და სამეცნიერო სტატიები.

მოგზაურობა ბახმაროს მთაზე, ივლიტა ნაკაშიძისა . VII—VIII 30

რობერტ ფულტონი, ცეცხლ-მავალ გემის მომგონი. ალ. . . X 16

უჯადო ჯადოსნობა. ან. წერეთლისა — 28

მანქანების შესანიშნავი გამომგონი უატტი, ალ. XI 24

შობის წინ, კომედია ერთ მოქმედებათ, ლადო გეგეჭკორისა XII 25

უფროსების განყოფილება.

ლექსები და პოემები.

მდინარე, ლადო გეგეჭკორისა II 33

ბუღდას ქადაგება, პოემა, თარგმანი ილ. ფერაძისა . . . VI 33

დილა, ლადო გეგეჭკორისა VII—VIII 53

სურათი, გ. ქუჩიშვილისა X 34

ვარდი; ლადო გეგეჭკორისა XI 32

ზამთარი, დ. თურდოსპირელისა XII 33

მოთხრობები ორიგინალური და ნათარგმნი.

არ მიფიქრნია! ეკ. გაბაშვილისა I 33

კიბუნ-დეიზინ, ჯენზეი მურაისა, თარგმანი ალ. ნათაძესი . . . — 53

II 54

III 52

IV 39

V 32

ქარიშხალი, მოთხ. ა. სერაფიმოვიჩისა, თარგ. შოთასი . . . II 34

III 61

ნისლი, გერმანულიდან, თამრო ნაცვლიშვილისა II 53

ვარდი გაიფურჩქვნა, ლადო გეგეჭკორისა III 31

ძველი მებატონეები (ნაწყვეტი) გოგოლისა — 40

ტყეში, სურათი, ლადო გეგეჭკორისა IV 35

ექიმი ისააკის განსაცდელი თარგმანი ან. წერეთლისა . . . — 52

V 45

VI 38

VII—VIII 82

მძიმე ხვედრი, შედგენილი ა. ფ—სი VI 44

მშიშარა ფილი, ტ. ვეფხვაძესი — 49

რას შუის ზღვა! მოთხრ. ფეოდორე—დავიდოვისა, თარგ. ან. წერეთლისა VII—VIII 55

თეთრი ფინია, მოთხრ. კუპრინისა, თარგმ. ეკ. მესხისა . . . — 61

IX 49

შემოდგომა სოფელში, ეკ. გაბაშვილისა — 30 ✓

„ზე ცხოვრებისა“, თარგმანი სალომე მალალაშვილისა . . . — 34

X 41

ბუნების წიაღში, დ. თურდოსპირელისა — 35

წითელი კაკბის ნამბობი, ალფონს დოდესი, ფრანგულით ელ. წერეთლისა — 53



პატარა სელიმის ყვავი, თარგმანი ან. წერეთლისა XI 33
 XII 46
 გულმა იგრძნო საშობაო მოთხრობა ან. წერეთლისა — 34

ბიოგრაფია ჩვენი და უცხოეთისა.

ნიკოლოზ ვასილის ძე გოგოლი, ტ. ვეფხვაძესი III 34
 ეგნატე ნინოშვილის ხსოვნას, სილ. თავართქილაძისა . . . V 52
 დამიან დე ვერსტერი, ავთმყოფთა ჩეობარო, ფ. . . . VI 57
 ნატალია გაბუნია-ცაგარლისა, 30 წლის იუბილეი . . . XI 29
 პოეტი შილლერის სიყმაწვილე, თარგმ. ან. წერეთლისა . . — 44
 XII 63

ეკატერინე გაბაშვილის 40 წლის სამწერლო მოღვაწეობის გა-
 მო ს. გ—ძესი — 41

სამეცნიერო სტატიები და ბუნების მეტყველებიდან.

მარჯანი, თარგ. შ—სი. I 42
 მიწის ძვრა იტალიაში — 50
 წუმწუმა, ან. წ. — 61
 მაკარონი, ან. წ. — 62
 მიწის ძვრა სიცილიაში, სურათები II 45
 კოკოსის პალმა, აღ. ჭიჭინაძისა — 61
 ჩლახუნა დათუნია, სეტონ ტომპსონისა, თარგმ. მარიამ ია-
 შვილისა III 44
 IV 46
 V 52

ფინიკის პალმა, აღ. ჭიჭინაძისა III 68
 ტელეგრამა უმავთულოთ (მარკონი) IV 60
 ძვირფასი თვლები (გამოსადეგი ამბავი) — 61
 ხე ბუმბერაზი, ალექსი ჭიჭინაძისა V 39
 ზღაპრული მოვლენა ბუნებაში, სისოვეისა VI 62
 პურის ხე, ალექსი ჭიჭინაძისა VII—VIII 78
 ზღაპრული მოვლენა ბუნებაში, გმირებთა დამარხვა, ან. წე-
 რეთლისა — 90
 ბანანა, ალექსი ჭიჭინაძისა IX 46
 ბუნების სიმდიდრის განადგურება, თარგმანი ან. წერეთ-
 ლისა — 61
 ბამბუ, ანუ ინდოეთის ლერწამი, აღ. ჭიჭინაძისა X 63
 გამოსაყენი ცოდნა — 63
 ინდოეთის ლედვის, ხე, ალექსი ჭიჭინაძისა XI 40
 ჰაერში ფრენა, ეკ. გ—ისა — 53
 ვერცხლა თევზა ბულგაკოვისა თარგმანი მარიამ იაშვილისა XII 53

ჯეჯილში მოთავსებულია წლის განმავლობაში სახუმარო ამბები და ლე-
 ქები, გასართობები, ანდაზები, გამოცანები და სხვა წერილობანი.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა